კომუნისტი

მებუთე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ ბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ.აღმასკომის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისადმი მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 43—80.

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24, მეორე სართული, ტელეფონი № 10—49. ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისთვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმოწერინი მიიღებენ „ჩიროღანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.

დღიური

— ირლანდიაში დაიწყო დიდი არეულობა.
— მთელ ბავარიაში გამოცხადებულია საგანგებო წესები.
— საფრანგეთში გრძელდება ფინანსიური კრიზისი.
— მოსკოვში დაბრუნდა იტალიის ელჩი. საფრანგეთ—ინგლისი ბიბლიოთეკა
— დანის მუშათა დელეგაციამ [illegible]
— იტალიაში გრძელდება მუშების დათხოვა ფარმოეებიდან.

პარასკევი, 13 ნოემბერი 1925 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 261 (1416)

საერთაშორისო ომი ჩინეთში

სამოქალაქო ომმა ჩინეთში მიაღწია უმწვეტესს წერტილს. როგორც ვიცით, ჩინეთი მხოლოდ სახელით წარმოადგენს მთლიან სახელმწიფოს, ნამდვილად კი შესდგება პეკინის „ცენტრალური“ მთავრობისაგან დამოუკიდებელ რამოდენიმე პროვინციიდან რომელთა მმართველები ხან ჩუმ, ხშირად კი იარაღით ხელში აწარმოებენ ბრძოლას ერთმანეთს შორის თავის გავლენის სფეროს გასაფართოებლად. ჩინეთს საერთოდ ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ფეოდალურ წყობილებიდან.

ჩინეთის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში გაბატონებულია ჯგუფი „სახალხო არმიის“ სახელწოდებით და გენერალ ფინ-იუ-სიანის საერთო ხელმძღვანელობით. ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია მეკედინის ჯგუფს გენ. ჩან-ძო-ლინის მეთაურობით. გენ. უ-პეი-ფუ (ჩილის ჯგუფი) ფლობს ჩინეთის შუა აღმოსავლეთის რაიონს, უდიდეს მდინარის იან-ცზეს მიდამოებს. გომინდანის პარტია გამაგრებულია სამხრეთ ჩინეთში (გუანდუნის და ნაწილობრივ ხუ-ნანის პროვინციები). არის კიდევ რამოდენიმე უფრო წვრილი ერთეული.

ბოლო დროს სასტიკი ომები სწარმოებს ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩან ძო-ლინი უკედრესი რეაქციონერია და შურისგებელი მტერი ჩინეთის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის, ის იმპერიალისტების მოსყიდული „გენერალი“. ამას ადასტურებდა ბ. ინტერესებულ ფაქტებიდან: ჩინეთით [illegible] ბულ უცხოელების მერყეობა პოლიტიკაში. ადგილი უნდა დაუთმოს გაერთი ნებელ და აქტიურ ბუნებას. რომელიმე ჩინელ ლიდერთან, რომელიც იქნება საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ თავი გაართვას შექმნილ მდგომარეობას, და საკმაოდ გონიერი იმისათვის, რომ ჩინეთს შესძლებლობა მისცეს შეასრულოს თავისი ეროვნებრივ ნანი სხვა სახელმწიფოების მიმართ. [illegible] ჩინეთ [illegible] ბოლოს „ეროვნული“ [illegible] ბოლოებს გამოიყენონ ის იარაღად ჩინეთში თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად, ოღონდ ხელი შეუწყონ მას ერთ-ერთ ქვეყნის დიქტატორი. ინგლისიც და იაპონიაც რიგრიგობით და ორივე ერთად, თვითეული თავის მიზნებისათვის, რა თქმა უნდა, კიდეც იყენებენ ამ შეიგენერალს ნიციონალურ მოძრაობის ჩასახშობად და კანტონის მთავრობის წინააღმდეგ.

უ-პეი-ფუ არსებითად იმპერიალისტებს ემსახურება და მათი დახმარებით ლობს. თავისი ძალაუფლების გავრცელებას მთელ ჩინეთში. თუმცა ამავე დროს იგი ცდილობს გამოყოს თავი „ნაციონალურ ფიგურად“ და გაიმაგროს ზურგი „სახალხო დახმარებით“. მაგრამ ამაოდ. ხალხს მოტყუებას ეგი ვერ შესძლებს. მან უკანასკნელ დროს საკმაოდ გააშიშვლა თავისი რეაქციონერი ბუნება. ანსახის პროფორგანიზაციას დევნით, როცა ეს ქალაქი ჩიეგდო ხელთ, და მტრული მოქმედებით გომინდანის მთავრობის წინააღმდეგ.

ამ ორ გენერალ შორის სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ სულ უკანასკნელ დროამდე ფინ-იუი-სიანი ნეიტრალიტეტის პოზიციას ადგა. ეს არა იმიტომ, რომ ხსენებული ომის შედეგები უმნიშვნელო იყო მისთვის. იგი იცდიდა, სანამ ორივე მოწინააღმდეგე ურთი-ერთ ბრძოლაში არ დასუსტდებოდა, ამასთან არ სურდა შეეგმნა შთაბეჭდილება პირველი დამსხმელის, რომ მტრებისათვის, პირველ ყოვლისა ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს მომხრეებისათვის საბაბი არ მიეცა მის წინააღმდეგ დემაგოგიური აგიტაციისათვის. ამავე დროს ფინ-იუი-სიანი ვერ მოითმენდა ერთი რომელიმე ხსენებულ გენერლის გაძლიერებას, ვინაიდან ეს მასვე განუმზადებდა საფრთხეს. თუმცა ორივენი ფინს „მეგობრობას“ ეფიცებოდენ, რადგან თვითეული მათგანი ცდილობდა მის მიბრძოლას, ყოველ შემთხვევაში მის ძიერ ნეიტრალიტეტის დაცვას, მაგრამ ორივე მისი შეურიგებელი მტერია, განსაკუთრებით ჩან ძო-ლინი. ფინი მომხრეა ჩინეთის განთავისუფლებისა უცხოეთის გავლენისაგან და ამასთან ერთგვაროვან დემოკრატიული იდეების მატარებელია. იგი ასე თუ ისე კონტაქტში იმყოფება კანტონის რევოლიუციონურ მთავრობასთან, თუმცა გაყოფილია მისგან უ-პეი-ფუს გავლენაში მყოფ პროვინციებით.

ფინ-იუ-სიანი ბოლოს მაინც იძულებული გახდა ჩამბულიყო სამოქალაქო ომში. გუშინდელი ცნობით მან ომი გამოუცხადა ჩან-ძო-ლინს. საქმე ის არის, რომ უკანასკნელ თვითან გადავიდა შეტევაზე სახალხო არმიის წინააღმდეგ. ჩან-ძო-ლინის ჯარმა დაიკავა პეკინის აღმოსავლეთით 20 მილზე მდებარე ქალ. სანგოსინი, სადაც დაბანაკებული იყო ფინის არმიის ნაწილი. ჩან-ძო ლინს სურდა პეკინის აღება. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს ცნობა, რომ პეკინი დაიკავა ფინ-იუი-სიანმა. მეკედინის ჯარები (ჩან ძო-ლინის) უკან იხევენ. სახალხო არმიამ თავისი ძალაუფლება გამოაცხადა პეკინში, „ცენტრალურ“ მთავრობის მეთაური დუან-ძი-ჩეი გადაყენებულია.

ეხლა შეუძლებელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება სამხედრო მოქმედება და როგორი პოლიტიკური კომბინაციები შეიქმნება. ფინის არმიები საკმაოდ ძლიერია, ამასთან მათ აქტიურად უჭერს მხარს ჩინეთის ხალხი, ამავე დროს სამხრეთ ჩინეთში მტკიცედ დგას გომინდანის მთავრობა, თუმცა იგი ყოველ [illegible] გარშემორტყმულია მტრებით. როგორც ჩან-ძო-ლინი, ისე უ-პეი-ფუ და მათი მოძმრეები და ინგლისის იმპერიალიზმი დაინტერესებული არიან მის განადგურებაში. მაგრამ ბოლო დროს კანტონის მთავრობამ რამოდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიგო სამხედრო ფრონტებზე.

ერთი რამ ცხადია: ჩინეთის ნაციონალურ-დემოკრატიული ძალები ძლიერდებიან და ახლო მომავალში ბრძოლა მათსა და რეაქციონურ ჯგუფებ შორის უფრო სასტიკ და ფართე ხასიათს მიიღებს. რა თქმა უნდა, იმპერიალისტები ყოველნაირად შეეცდებიან მხარი დაუჭირონ ჩინეთის რეაქციას. მაგრამ თვით მათ შორის ადგილი აქვს ინტერესთა წინააღმდეგობას, აგრეთვე ბრძოლა სწარმოებს რეაქციონურ ძალებ შორის (უ-პეი-ფუს და ჩან-ძო-ლინის ომი). ჩინეთის განთავისუფლების მეგეურება ამ წინააღმდეგობებს, ცხადია, შეძლებისდაგვარად გამოიყენებენ.

ჩინეთში ამ ჟამად ხდება უდიდესი ამბები, რომელებსაც მნიშვნელოვანი აქვთ არა მარტო ამ ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიისათვის. სრული გამარჯვება ერთი რომელიმე მხარის—სახალხო მოძრაობის თუ შინაური რეაქციის და იმპერიალიზმის მოკლე დროის საქმე არ არის. ჩინეთის ხალხის შეგნების ზრდა და დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ გამარჯვება ერგება ჩინეთის მშრომელ ხალხს. და ეს დრო არც ისე შორსაა.

საგლეხო კრედიტის საკითხები

საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც ჩვენში ცნობილია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების სახით, გლეხის მეურნეობის აღორძინებისათვის უაღრესად სასარგებლო ორგანიზაციის წარმოადგენს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ამხანაგობათა ქსელი ჩვენში ჯერ კიდევ სუსტია და სოფლის მოსახლეობის მცირე ნაწილის აერთიანებს.

ეკონომიურად დაწინაურებულ მაზრებშიაც კი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები მხოლოდ აქა-იქ მოიპოვებიან და ხშირად თვითეულ მათგანს რამდენიმე თემში უხდება საკრედიტო მუშაობის წარმოება. და მიუხედავათ იმისა, რომ საკრედიტო კოოპერაციის ქსელი, როგორც შედარებით მცირეოდენ ორგანიზაციას, უფრო ვიწრო და მარტივია, მასში მაინც აქვს ადგილი მთელ რიგ ნაკლულოვანებათა, რომელნიც აფერხებენ სოფლად საკრედიტო ოპერაციების უმტკივნეულოდ წარმოებას.

ამ ნაკლულოვანებებზე ერცლად შეჩერდა ამას წინათ დასრულებული სასოფლო-სამეურნეო ბანკთა თავმჯდომარეების ამიერ-კავკასიის თათბირი. მთავარ დაბრკოლების საკრედიტო ამხანაგობების მუშაობაში წარმოადგენს ძირითად თანხის სიმცირე და ზოგჯერ უქონლობაც. საპაიო და სხვა სახის შემოსავალი, თავის სიმცირის გამო, არ აძლევს საშუალებას სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას თავიდანვე ჯერეოვან ნიადაგზე დააყენოს მუშაობა და თანდათან ხელი შეუწყოს მის გაფართოება-განვითარებას. ამიტომ ფინანსიური ხელმოკლეობა გლეხთა საკრედიტო ამხანაგობების თითქმის საყოველთაო სენს წარმოადგენს და ფრთებს უკვეცავს მათ მისწრაფებას სოფლის-მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ამ გარემოებას გვერდს ვერ აუვლიდა ბანკის თავმჯდომარეთა თათბირი. აქ გამოტანილ დადგენილების თანახმად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ უნდა მიეცეს თვითეულ ამხანაგობას გრძელვადიან სესხის სახით არა უმცირეს სამი ათას შანეთისა. ეს სესხი ეფუძნ. ოროჯერ [illegible] ბა. ამ [illegible] ბ. ბ. [illegible] ბ. [illegible] ბ. [illegible]

უკანასკნელი ცნობები

ამხ. სემაშკოს დაბრუნება

მოსკოვი, 12 ნოემბ. საზღვარგარეთიდან დაბრუნდა სახ. რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო.

შვედური ფირმების წარმომადგენელი ლენინგრადში.

ლენინგრადი, 12 ნოემბ. ლენინგრადში ჩამოვიდა რამდენიმე შვედური სპეციალური და სამანქანო ფირმის წარმომადგენელნი. მითი ჩამოსვლის მიზანია დაკვეთების მიღება საბჭოთა კავშირში.

ამხ. ფრუნზეს სახელობის სტიპენდიები.

მოსკოვი, 12 ნოემბ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრების საბჭომ დაადგინა ტომრიოზეევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში უმაღ. კოოპერატიულ კურსებზე და ზოოტეხნიკურ ინსტიტუტში დაარსდეს ამხ. ფრუნზეს სახელობის სტიპენდიები.

კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის პროფესორი საბჭოთა კავშირის შესახებ

ბაკო, 12 ნოემბერი. კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის პროფესორი აკადემიკოსი კეპრიული-ზადე-მამედფუატი, რომელიც მგზავრობდ საბჭოთა კავშირში, ბათომიდან იწერება:

„საბჭოთა კავშირში ორი თვის მგზავრობამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ძნელია დიდი საბჭოთა კავშირის 2 თვის განმავლობაში გაცნობა, მაგრამ მოსკოვის, ლენინგრადის და ბაკოს გაცნობამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა.

სამეცნიერო აკადემიის 200 წლის იუბილე ცოცხალი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ სათუთად ეპყრობა ხალხი განათლებას. მე ვნახე ახალი მუზეუმები, სამკითხველოები, სამეცნიერო ლაბორატორიები, რომლებიც მეცნიერებისა და ტეხნიკის პროგრესს მოასწავებენ. გუდწრფელი კავშირი დაზგის მეცნიერებისა და ტეხნიკის მუშაკებსა ნამდვილი სწორი გზაა კაცობრიობის ასაყვავებლათ.“

ბაზრებიჯანის შესახებ პროფესორმა სთქვა:

„თურქთმოდენობის ყრილობას რომელიც ბაკოში უნდა შეიკრიბოს ამ ახლო მომავალში, დიდი მნიშვნელობა აქვს. ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიდი ხანი დამყარებულია ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. შემდეგში ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცება. მე მიდივარ ბათომიდან ღრმა იმედით მომავალზე.“

ქაღალდის ფაბრიკა

ნოსკოვი, 12 ნოემ. ამიერ-კავკასიის რწმუნებულმა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმში შუამდგომლობა აღძრა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანინ 500.000 მან. ქაღალდის ფაბრიკის ასაგებად.

საზღვარ-გარეთ გემების შეკვეთა და ყიდვა

მოსკოვი, 12 ნოემ. 20 ნოემბერს, საზღვარგარეთ მიემგზავრება საგანგებო კომისია საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გამგეობის წევრის ამხ. ბოგუშის მეთაურობით გემების შესაკვეთად და აგრეთვე საყიდლათ.

კომისიას განზრახვა აკვს შეისყიდოს 3 საქონლისა და სამგზავრო გემი ყირიმ-კავკასიის ხაზისათვის და 10 ახოვის ზღვისათვის. გარდა ამისა, საზღვარგარეთ შეკვეთილი იქნება სხვადასხვა ტიპის 50 გემი. შეკვეთების ფული გადახდილი იქნება 10 წლის განმავლობაში, გემები კი მზად უნდა იქნეს 9—12 თვეში.

საჰაერო ხაზი ბაქო-მოსკოვი და ბაქო-თბილისი

ბაკო, 12 ნოემ. ჩამოვიდა უკრაინის საჰაერო გზების კომერციული დირექტორი, რომლის მიზანია მოაწყოს საჰაერო ხაზი ბაქო-მოსკოვი და ბაქო-თბილისი.

„ზაკტგის“ კორესპონდენტთან საუბარში იუნგშეისტერმა სთქვა: ჩვენ მივეჩქარით ბაქოში სამგზაერო თვითმფრინავზე; გზა ბაქო-გროზნოს შორის გავიარეთ 2 ნახევარ საათში. ჩვენ ორ ხაზის მიმართულებას ავიღებთ: პირველი იქნება ბაქო-გროზნო-მინერალური წყლები-როსტოვი-არტემოვსკი-ხარკოვი-ორიოლი - მოსკოვი, 2154 კილომეტრის სიგრძით, რის გადაფრენასაც უნდა 16 საათი; მეორე ხაზის სიგრძეა 561 კილომეტრი, რომლის გადაფრენასაც უნდა 4 საათი. გადაფრენა დაჯდება იმდენივე, რამდენიც დაჯდება რკინის გზით მგზავრობა რბილ ვაგონში.

ნავთის ნაწარმოებთა ბატანა საზღვარგარეთ

ბაკო, 12 ნოემბერი. ხავთის სინდიკატმა გაგზავნა კონსტანტინოპოლში 300 ტონა ნავთი და 100 ტონა მანქანის ზეთი. ნავიგაციის დაწყებიდან ასტრახანში გატანილია 19.825,000 ფუთი ნავთის პროდუქტები.

საბჭოთა ნავთსადგურებში

ოდესა, 12 ნოემბერი. შავი ზღვის ნავთსადგურებში იტვირთება 65 გემი ხორბლით, ნახშირით და ნავთის პროდუქტებით. ოდესის, ნოვოროსიის და ხერსონის ნავთსადგურებიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა ნახევარი მილიონი ფუთი ხე-ტყის მასალა.

დიდი გოროტმოძღვრების აღმოჩენა

კიევი, 12 ნოემბერი. სამხრეთ-დასავლეთის რკინისგზის სათბობ განყოფილებაში აღმოაჩინეს დიდი ბორტმოქმედება. 1923—24 წელში განყოფილებამ ნახა რამდენიმე ასი ათასი მანეთის ზარალი. ტყის დამამზადებლები ადგენდენ ფაქტიურ აქტებს და ანგარიშებს. სასამართლოში მიცემულია 19 კაცი, რომელთაგან 10 უკვე დაპატიმრებულია.

გერმანიის საალმშენებლო მუშების რევოლიუციონური პროფკავშირის ყრილობა

ბერლინი, 12 ნოემბ. 15 ნოემბერს ჰამბურგში იხსნება გერმანიის იმ რევოლიუციონურ მშენებელ მუშთა პროფკავშირის ყრილობა, რომელნიც გამორიცხული არიან გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირების შემადგენლობიდან.

რევოლიუციონურ მშენებელთა მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა მიმართა გერმანიის გამორიცხულ მშენებელთა პროფკავშირს მისასალმებელი ბარათით, რომელშიაც ნათქვამია, რომ მომავალ ყრილობის უმთავრეს ამოცანას შეადგენს ბრძოლა პროლეტარიატის კლასიურ მთლიანობისათვის.

იტალიის და სამხრეთ-სლავიის ურთიერთობა

იტალიის საწინააღმდეგო გამოსვლები დალმაციაში

რომი, 11 ნოემბერი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ აცნობა იტალიას, რომ იტალიის საკონსულოებზე თავდასხმის გამო, გადაყენებულია ძაგაბრიის პროექტი.

სამხრეთ-სლავიის ელჩს რომში ანტონოვიჩს დავალებული აქვს მწუხარება გამოსთქვას ამის გამო იტალიის მთავრობის წინაშე, სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნინჩიჩმა მწუხარება გამოსთქვა პალატაში და დაავალა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს მარკოვიჩს განუცხადოს მწუხარება ამბებისგამო იტალიის რუშუნებულს ბელგრადში.

გაკეთდა ბრძანება დააპატიმრონ და პასუხისგებაში მისცენ თავდასხმის მონაწილენი. მატერიალური ზარალი ანაზღაურებული იქნება. ძაგაბრიის პოლიციის უფროსები მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

რომი, 11 ნოემბერი. „სტეფანი“-ს სააგენტო იტყობინება, რომ მუსოლინი გამოვიდა განმარტებით იტალიის საწინააღმდეგო გამოსვლების შესახებ სპალატოში, ბიბენკში და ძაგაბრიაში.

მუსოლინი შეეხო აგრეთვე იტალიის საკონსულოების საწინააღმდეგო გამოსვლებს დალმაციაში და აღნიშნა, რომ იტალიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ამის გამო.

მუსოლინის აზრით, ეს გამოსვლები მოხდა ნიშნად პროტესტისა იმ ინცინდენტის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტრიესტში, სადაც ფაშისტებმა დაარბიეს სამხრეთ-სლავიის გაზეთ „ედინოსტ“-ის რედაქცია.

მუშების მასიური დათხოვნა

რომი, 11 ნოემბ. იტალიის კომპარტიის გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ დაიწყო მუშების მასიური დათხოვნა „ფიატის“ ავტომობილების ფაბრიკაში ტურინში. დათხოვნილია 60 კაცზე მეტი; დათხოვნილთა უმრავლესობას შეადგენენ კომუნისტები კომპარტიის თანამგრძნობი და სოციალისტები.

ფაშისტური გაზეთი „პოპოლოდი რომა“ იუწყება, რომ მოსალოდნელია კიდევ 2.000 კაცის დათხოვნა.

რეინის ოლქში

ლონდონი, 14 ნოემბ. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, ანტანტის სახელმწიფოები თანახმა არიან ცოტაოდნად შეამსუბუქონ საოკუპაციო რეჟიმი რეინის ოლქში.

გარდა ამისა, ვინაიდან გერმანიამ დაარწმუნა მოკავშირეები, რომ ის შესასრულებს განიარაღების პირობებს, კელნის ზონის ევაკუაცია დაიწყება, ალბად, დეკემბერში.

„დეილი მეილის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ინგლისის ჯარები დასტოვებენ კელნს 1 თებერვალს.

მდგომარეობა სპარსეთში

საუბარი სპარსეთის კონსულთან თბილისში მეფტასთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა სპარსეთის კონსულს თბილისში მეფტას სპარსეთში ამ უკანასკნელათ მომხდარ ამბების შესახებ. კონსულმა განაცხადა:

„თუმცა ოფიციალური ცნობები ჯერ ხელთ არა მაქვს, მაგრამ დამფუძნებელი კრების მოწვევა სპარსეთში მოსაღოდნელია ერთი თვის განმავლობაში. არჩევნების დასაწყისი უკვე გამოცხადებულია, თუმცა არჩევნები ჯერ არ დაწყებულა. არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ნაციონალისტები, სოციალისტები, დემოკრატები და სხვები.

სპარსეთის ინტელიგენციის და ლიბერალურ წრეების განწყობილება ისეთია, რომ სპარსეთის ხალხი კმაყოფილი იქნება რესპუბლიკანური წესწყობილებით.

მიღებულია დეპეშა იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრათ და ფინანსთა მინისტრათ დანიშნულია გარეშე საქმეთა ყოფილი მინისტრი, ცნობილი სოციალისტი ფურუგი (ზოკოლ-მოლკი).

ხმები რიზა ხან პეხლევის შახად გახდრმის სურვილის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

სპარსეთის რესპუბლიკის იდეის რეალურ გარანტიას წარმოადგენს სპარსეთის ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილი. ინტელიგენციის, ვაჭრობის, ლიბერალურ წრეების და გლეხობის სურვილია სპარსეთში რესპუბლიკანური წესწყობილების განმტკიცება.

მოჰადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 12 ნოემბერი. მეორე დღეს მოხდა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ყოფილ ჩემპიონის **რიგანოვსკის** და **კაპაბლანკას** შორის. მეჩვიდმეტე ხელზე კაპაბლანკა თანხმდება თამაშის უშედეგოთ დამთავრებაზე. თამაშობდენ შოტლანდიურ პარტიას.

შეწყვეტამდე **რეტი,** ჩეხო-სლოვაკიის ჩემპიონი, რომელიც თამაშობდა თეთრებით, დაბლდა ამერიკის ჩემპიონს **მარშალს. რაბინოვიჩმა** მოუგო ზუბარევს.

ალიოხინ ვერლინსკიმ დაამარცხა ლევენფიში, რომელიც თამაშობდა შავებით. ზემიშმა (გერმანია) წააგო **რუბინშტეინთან** (პოლონეთი) თამაშის დროს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ **ეიტხი** დამარცხებულ იქნა ბოგოლიუბოვის მიერ, რომელიც თამაშობდა შავებით. **ტორრემ** მოუგო **დუუნ-ხოტიმირსკის,** როდესაც უკანასკნელმა დაჭარგა ფერზი და ცხენი.

მოსკოვი, 12 ნოემბერი. შეჯიბრების მეორე დღის ბოლოს **ბოგატირჩუკს** და **ტარტაკოვერი** (საფრანგეთი) შეთანხმდენ, რომ თამაში უშედეგოა. ორი დაუმთავრებელი პარტია—**ალეინ-ფენევსკისა** შპილმანთან (გერმანია) და **გრიუნფელდის** (ავსტრია) **გოტ-გიდეონთან** გადადებულია სამშაბათისათვის.

რ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. გაფართოებული პლენუმი

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 12 ნოემბერი. დაიხურა რ. ა. ლ. კომკავშირის ც. კ-ის შეხუთე გაფართოებული პლენუმი.

უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ბ. ლომინაძის მოხსენება რუსეთის დელეგაციის მოღვაწეობაზე ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომში.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა გამოყოფილი კომისიების მოხსენებები და მიიღო რეზოლიუციები ყველა განხილული საკითხების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმისათვის

მოსკოვი, 12 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის კოლეგიის მორიგ სხდომაზე მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისართა თანადასწრებით მოსმენილ იქნა მოხსენება, რომელიც გაკეთა სასოფლო სამეურნეო გადასახადის განყოფილების უფროსმა **ლივშიცმა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმის პროექტის თანახმად 1926—27 წელში საგლეხო მეურნეობათა 30 პროც. სრულიად განთავისუფლებული იქნება გადასახადისაგან, დაახლოებით 60 პროც. გადაიხდის 2—10 პროც.-დე მთელი მათი სამეურნეო შემოსავლიდან, დანარჩენი 10 პროც. გადაიხდის შემოსავლის 5—16 პროც.-დე.

კამათში მონაწილეობა მიიღო ფინანსახკომის კოლეგიის წევრმა **ვრონსკიმ,** რომელმაც აღნიშნა, რომ გადასახადი უნდა დაწესდეს მძლავრ სამეურნეო ერთეულებს, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის დაბეგვრა კი შემსუბუქებული იქნეს.

პროფესორმა **ხოკლოვმა** მიუთითა სხდომას, რომ საჭირო იყო გადასახადის მარტივი პროექტის შედგენა, რომელიც დაემყარებოდა სასოფლო მეურნეობის სამი ძირითადი ელემენტის მიწის, საქონლის და შუშა ხელის რაოდენობის აღრიცხვაზე.

კუტლერმა გამოსთქვა შიში, რომ ნათესების დაბეგვრას შეუძლია გამოიწვიოს ნათესების სივრცის შემცირება.

საგლეხო სესხის განაღდება

მოსკოვი, 12 ნოემბ. მეორე საგლეხო სესხის გასანაღდებლათ გამართულ 7 დღიან კამპანიის განმავლობაში მიღებული ხელისმოწერა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და კავშირის სხვადასხვა ქალაქებში სულ 62.687.000 მან. აქედან მხოლოდ მოსკოვში—50 მილ. მანეთისა.

მთელი ხელმოწერის საერთო თანხიდან კერძო კაპიტალზე მოდის 43 მილ. მანეთი.

მოსკოვი, 12 ნოემბ. სახელმწიფო სესხების განყოფილებათა გამგის მოადგილე ბულფმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ფინ. სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველო სავსებით შეასრულებს გაცემულ ვალდებულებებს. წვრილი ხელისმოწერნი 100 მანეთამდის ყველანი სავსებით იქნებიან დაკმაყოფილებული ობლიგაციებით, მიუხედავად ისა, რომ ხელისმოწერამ ბევრით გადააჭარბა ბერეულ ორ სერიის ობლიგაციების რაოდენობას.

საბჭოთა კავშირი

რუსეთი

საყურადღებო ცდები მინერალებზე.

ლენინგრადი, 12 ნოემბ. ფიზიკურ-ტერაპევტიულ საზოგადოების კრებაზე ექიმმა მანფოლოვმა გააცნო დამსწრეთ მინერალებზე მომხდარ მრავალ ცდათა შედეგები.

მანფიოლოვმა დაამტკიცა, რომ მინერალები—რეაქციის მიხედულობით—შეიძლება დაყოფილ იყვენ სხვადასხვა ჯგუფებათ. ერთი ჯგუფი მოქმედობს—როგორც მამრობითი, მეორე კი—როგორც მდედრობითი. ეს იმას ნიშნავს, რომ მინერალთა შორისაც უნდა არსებობდეს რაღაც სქესობრივი განსხვავება. ეს ფაქტი კიდევ ზედმეტათ ამტკიცებს იმას, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ცხოველებს, მცენარეებსა და მინერალებ შორის.

საბჭოთა გენერატორები და ტრანსფორმატორები.

ლენინგრადი, 12 ნოემბერი. ელექტროტრესტის ქარხნებში „ვოლხოვსტროისთვის“ დამზადდეს ორი დიდი გენერატორი, თითო 8.500 კილოვატისა და ტრანსფორმატორები—6,000 კილოვატისა. ასეთი ძალის გენერატორებისა და ტრანსფორმატორების დამზადება—პირველი შემთხვევაა მთელ საბჭოთა კავშირში.

საკავშირო თათბირი ქალთა ზორის პროფმუშაობის შესახებ.

მოსკოვი, 12 ნოემბ. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა 22 ნოემბრისათვის საკავშირო თათბირი ქალთა ზორის პროფმუშაობის შესახებ:

საბჭოთა პირველი ავტომატიური საფეიქრო მანქანა.

ლენინგრადი, 12 ნოემბ. „წითელი არსენალის“ ქარხანაში მოხდა გამოცდა საბჭოთა პირველ ავტომატიურ საფეიქრო მანქანისა. „ლენინგრადტექსტილმა“ თანხმობა გაიცხადა ამ მანქანების წარმოების გასაფართოებლათ მისცეს ქარხანას ავანსად 500.000 მან.

რეზინის წარმოების აღდგენის გეგმა.

მოსკოვი, 12 ნოემბ. რეზინის წარმოების ძირითად თანხის აღსადგენათ გამართულმა საგანგებო თათბირმა დაამტკიცა წარმოების აღდგენის 5 წლის გეგმა. ამ გეგმის მიხედულობით უნდა აშენდეს ახალი ქარხანა რეზინის ტეხნიკურ ნაწარმოებთა დასამუშავებლათ.

უკრაინა

უკრაინის შაქრის მრეწველობა.

ხარკოვი, 12 ნოემბ. უკრაინაში დამთავრებულია ყველა 102 შაქრის ქარხნის ამუშავება.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელ კომისიის მუშაობა

თბილისში მომუშავე ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მოსწესრიგებელმა კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა.

შედგენილია საერთო ოქმი იმ კერძო ოქმების მიხედულობით, რომელიც სდგებოდნენ კომისიის მუშაობის დროს თვით საზღვარზეე ყოველ ცალ-ცალკე უბანში. მოგვარებულია მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც ადგილობრივ დაწვრილებით იქნენ გამორკვეული, მაგრამ მათი საბოლოო გადაწყვეტა მაინც გადადებული იყო მთელი საზღვრის გავლებამდის. მაგალითად მოგვარებულია საკითხი არეზისა და ზანგოის მდინარეებ შორის მდებარე კუნძულისა, რომელიც მიეკუთვნა საბჭოთა სომხეთს.

ეს საკითხი წამოიჭრა კომისიების მუშაობის დაწყებისთანავე და ღიათ იყო დარჩენილი, სანამ ის საბოლოოთ არ გადისწყდა თბილისში. მიღწეულია შეთანხმება აგრეთვე ღიათ დარჩენილ სხვა საკითხებშიც.

შერეული კომისიის მიერ საზღვრების გავლის შემდეგ, ადგილობრივად ხდებოდა ტოპოგრაფიულ ხაზის ფოტოგრაფიულათ გადაღება. კლიმატიურ პირობების ხელის შეშლის გამო (თოვლი, წვიმა და სხვა) სურათების გადაღება აპარატანის საზღვრებზე და არეზის ველზე დამთავრდება ახლო მომავალში.

სურათების მოწესრიგებისა და მოსაზღვრე ხაზის რუქების დამზადების შემდეგ ოსმალეთის რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები შეიკრიბებიან ხელახლათ, რომ ხელი მოაწერონ ყველა საბუთებს, რომლებიც შეეხებიან ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების ნატურალურ გავლებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მანუფაქტურის ქარიზის ბოლო ეღება.

ახალქალაქი, 12 ნოემბ. ამ დღეებში ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოება მიიღებს მანუფაქტურის დიდ პარტიას. (50 შეკვრას), რომაც თავიდან იქნება აღიღებული მანუფაქტურის კრიზისი და კერძო მოვაჭრეებს მოესპობათ ფართალზე ფასების აწევის საშუალება.

უკანასკნელ ხანებში გლეხებს მოთხოვნილება მანუფაქტურაზე თვალსაჩინოთ გაიზარდა. უმთავრესად გლეხებს ესაჭიროებათ ჩითი, ბამბაზია, იაფფასიანი მაუდი და აგრეთვე მარილი, ჭურჭელი და სალამშენებლო მასალა. საქონლის მიწოდება ცოტაოდნად გაძეელებულია საქონლის ჭირის გამო.

ვაჭრობა სპარსეთთან.

ბათომი, 12 ნოემბ. საავიაციონერო საზოგადოების „ტრანსპორტის“ ბათომის განყოფილებამ გაგზავნა სპარსეთში 400,000 კილო შაქარი, 25.000 ფუთი სხვადასხვა ლითონის ნაწარმოები და 5.000 მეტრი მანუფაქტურა.

ქართული დრამის თეატრი.

ბათომი, 12 ნოემბ. სახ. კომისარიატა საბჭომ ცენტრის წინაშე აღძრა შუამდგომლობა სასწრაფოთ 15,000 მანეთის გაცემის შესახებ მიმდინარე სეზონში ბათომში ქართული დრამატიული დასის მოსაწყობად.

სესხი გლეხებს

ქობულეთი, 12 ნოემბერი. ქობულეთის საკრედიტო ამხანაგობამ გლეხებს შორის გაანაწილა მოკლევადიანი სესხი 30.500 მანეთის რაოდენობით.

ტრაქტორი სოფლად

ბათომი, 12 ნოემბერი. სხალთის თემის გლეხკომმა გადაწყვეტა შეიძინოს ტრაქტორი, რომ გაეცნოს მის მუშაობას და გამოარკვიოს, თუ რამდენათ სასარგებლო იქნება ის ადგილობრივ პირობებში.

საბჭოების მეთვალეთ [illegible] დადგენილება № [illegible]

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის [illegible]

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების [illegible] 1926 [illegible]

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის 66 მუხლისა და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ ა | წ. ოქტომბრის 12-ის თარიღით გამოცემულ დადგენილების თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოხდენილ იქნას სასოფლო, სათემო და ქალაქების საბჭოების, აგრეთვე სათემო, სამეზრო, და ქალ. ფოთის აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები 1926 წლისათვის.

2. მოსამზადებელ მუშაობას არჩევნებისათვის სათანადო ორგანოები უნდა შეუდგენ 1925 წლის ნოემბრის 15-დან, ხოლო არჩევნები უნდა მოხდეს 1926 წლის იანვრისა და თებერვლის განმავლობაში.

3. საბჭოთა ყრილობები 1926 წელში მოწვეულ იქნებიან მხოლოდ თემებში (სადაც სასოფლო საბჭოები არსებობენ, ე. ი. მოწვეულ იქნებიან საბჭოთა სათემო ყრილობები) და მაზრებში (საბჭოთა სამაზრო ყრილობები).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არჩევნების წესრიგი განისაზღვრება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცალკე ინსტრუქციით მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**შ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**ს. თოდრია.**

1925 წლ. ნოემბრის 12.
თბილისი—სასახლე.

ელჩებისათვის ტყის გადაცემა.

ახალქალაქი, 12 ნოემბერი. დღეს გაემგზავრა ახალქალაქის აღმასკომის მიწისმზომელთა კომისია ტყის უფროსისაგან ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მისაღებად ასპინძის რაიონში.

ლიუქსემბურგი, 12 ნოემბ. გაემგზავრა სარაიონო კომისია ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოსაყოფად.

1903 წელში დაბადებულთა გაწვევა.

ოზურგეთი, 12 ნოემბერი. დამთავრდა ჯარში გაწვევის კამპანია. გამოცხადდა ახალწვეულთა 100 პროც. გაწვეულთა რიცხვმა ნავარაუდევს გადააჭარბა 25—50 პროც.-ით, რის გამოც საჭირო შეიქნა კენჭის ყრა. 75 პროცენტმა უარი განაცხადა კენჭის ამოღებაზე და მოისურვა საკადრო ნაწილებში შესვლა.

პარტიული ცხოვრება

თბილისის სამაზრო-საქალაქო მეექვსე პარტკონფერენცია

გუშინ, საღამის 7 საათზე წითელ თეატრში (ყოფ. სახალხო სახლი) ამხ. **მ. ცხპაიას** თავმჯდომარეობით გაიხსნა თბილისის სამაზრო-საქალაქო შეექვსე კონფერენცია.

კონფერენციამ **პირველად** ამხ. ცხპაიას წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ფრუნზეს ხსოვნას.

პრეზიდიუმში **კონფერენციამ ერთხმად** აირჩია შემდეგი ამხანაგები: ცხპაია, ორჯონიკიძე, **მახარაძე,** ქართველიშვილი, **ლახიანი,** ელიავა, ოკუჯავა, **ასრიბეკოვი,** ხვანიძე, **ხუხიშვილი,** ძავთარაძე, ფანცულაია, ვართაპეტოვი, **გოგეჯიშვილი,** ყურულაშვილი, **რაკნეკი,** მარკაროვი, **სარდლიშვილი,** ამირიძე, **ჩხეიძე,** მელაძე, **იუსუფოვი,** სოკოლინი, **ივანოვ-კავკასკი** და **გოგეჩია.**

საპატიო პრეზიდიუმში: ამხ. **ტალანი, რიკოვი, ზინოვიევი, კამენევი, ალექსინსკი, კრუპსკაია, ტროცკი, ძერჟინსკი** და **ვოროშილოვი.**

შემდეგ კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა სეკრეტარიატი და სამანდატო კომისია ხუთ ხუთი კაცის შემადგენლობით.

დასასრულ ცოტაოდენი ცვლილებით დამტკიცებული იქნა რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი: 1. პარტიის მორიგი საკითხები—მომხ. ამხ. **ს. ორჯონიკიძე,** 2. თბილისის კომიტეტის ანგარიში—მომხ. ამხ. **მ. ცხპაია,** 3. **სარეფორმო** კომისიის მოხსენება, 4. სოფლად მუშაობის შესახებ—მომხს. ამხ. **ხვანიძე,** 5. პროფკავშირების მუშაობის შესახებ—ამხ. **ყურულაშვილი,** 6. წარმოების შესახებ—ამხ. **ფოფოკაშვილი,** 7. პარტმუშაობის შესახებ და 8. არჩევნები.

თბილისის კომიტეტის მუშაობაზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ცხპაია,** რომლის მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

პარტკადრის მუშაობის შესახებ კომკავშირში

კომკავშირის რიცვობრივმა ზრდამ და მით გამოწვეულმა შედეგებმა პარტიის წინაშე წამოაყენა საკითხი კომკავშირზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ. მე-14-მე პარტკონფერენციამ კიდეც აღიარა, რომ „მიღებული უნდა იქნეს ზომები ამისათვის, რომ კომკავშირის ორგანიზაცია მოექცეს პარტიის ნამდვილი და პრაქტიკული ხელმძღვანელობის ქვეშ“. ამ დადგენილებამ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება როგორც პარტიის, ისე კომკავშირის მასაში. მაგრამ მიუხედავათ ამისა პარტკადრის და პარტგავლენის დარგში დღესაც მრავალი დეფექტები გვაქვს.

კომკავშირში პარტგავლენის და პარტიის ხაზის გამტარებელი, არის პარტიის კადრი, რომელსაც უხდება თვით კომკავშირში მუშაობა. სწორეთ ამ პარტკადრის მიერ სწორათ შეთვისება თავისი მუშაობისა და მოვალეობისა უზრუნველჰყოფს ჩვენ არასასურველ გადახრისაგან.

როგორც ვიცით, არის შემთხვევები, როდესაც კავშირის სწრაფი ზრდის დროს ორგანიზაციაში შემოვიდენ არასასურველი ელემენტები და ეს უკანასკნელნი თავის გავლენას ახდენენ კომკავშირზე. რასაკვირელია კომკავშირი მათ რკინის ცოცხით ჰგვის, მაგრამ მარტო ეს არ კმარა.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კომკავშირელები თავის თავს პარტმპანაგებზე უფრო ზევით აყენებენ, „რა არის პარტიული, ჩვენ უფრო მეტი მომზადებული ვართო“ ამბობენ ისინი.

ჩვენ შეეხვედებით ისეთ მოვლენებსაც, რომ პარტიის წევრი, რომელიც კომკავშირში მუშაობს, თავს გრძნობს კომკავშირელად და არა პარტიის წევრად. ადგილი აქვს სრულიად საწინააღმდეგო გადახრაც: კომკავშირიდგან თუ ვინმე პარტიაში გადაირიცხა, ის უკვე „დიდი“ კაცი ხდება და კომკავშირში არც კი სურს მუშაობა.

რას ამბობს ყოველივე ეს? —იმას, რომ პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირზე ჯერ კიდევ სუსტია, იმას, რომ პარტკადრმა არ იცის რა უნდა აკეთოს, მას არ აქვს შეთვისებული თავისი როლი და მოვალეობა.

მართალია, ამ ბოლო ხანებში მდგომარეობა შეიცვალა. პარტუჯრედებს ეტყობოდათ ერთგვარი სიცხოველე. დღეს უკვე გამოყოფილია ახალგაზრდათა შორის მომუშავე სპეციალური კომისიები, არის წარმომადგენლობის სისტემაც და სხვა. მაგრამ პარტკადრი, რომელიც პარტგავლენის გამტარებელია კომკავშირში, ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობს პარტიის ხაზს.

აუცილებელია, რომ პარტკადრი იცნობდეს პარტიის ხაზს მთლიანად. პარტკადრი სპეციალურად უნდა იხილავდეს პარტიის დირექტივებს, რომელიც ეხება კომკავშირის საკითხებს. ამისათვის საჭიროა ახალი ორგანიზაციული სისტემა, პარტკადრის განსაკუთრებული კრებების მოწყობა. *) ამ სისტემას ჩვენ ვაყენებთ საკუთარი გამოცდილებიდან. ჩვენ გვინდა, რომ ამ გამოცდილებიდან მიღებული შედეგები გავაცნოთ ამხანაგებს, რადგან ამ სისტემამ ფრიად ნაყოფიერი შედეგები მოგვცა.

ლენინის რაიონში და თბილისის სხვა რაიონებში პარტკადრის კრებები პირველად ჩატარებული იქნა მაისში. ამ კრებებზე უმთავრესად იდგა მოხსენებები კომკავშირზე პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ. ამ მოხსენებებმა საგრძნობი შედეგები გამოიღეს იმ მხრივ, რომ ამხანაგების დიდმა უმრავლესობამ ფართე მონაწილეობა მიიღო აზოთა გაცვლა-გამოცვლაში; ამავე კრებებზე ნათელი გახდა, თუ როგორ კარგათ შეუძლია მუშაობა ახალგაზრდა კომკავშირელს, რომელიც პარტიაში გადაირიცხება და როგორ კარგათ შეუძლია მას გაატაროს პარტიის ხაზი, თუ სათანადოთ განუმარტავთ მათ პარტიის დირექტივებს და დადგენილებები.

სხვათა შორის, ამ კრებებზედ პარტკადრი გვისაყვედურებდა, თუ რატომ ასეთ კრებებს უფრო ადრე არ ვიწვევედით, რომ ყველა დაგროვილი საკითხები სათანადოთ გავგებულებია და მიღებული გამოცდილების და მიხედვით აგვეღო მუშაობის სწორი ხაზი.

გარდა ამისა, კომკავშირის ჰასაკის პარტიის წევრმა, რომელიც კომკავშირში ასრულებს საპასუხისმგებელ სამუშაოს და რომელიც დაესწარო პარტკადრის კრებას, იგრძნო, რომ ის არ არის მარტო კომკავშირის წევრი, არამედ ის არის პარტიის ხაზის გამტარებელიც.

ამრიგათ, პარტკადრის განსაკუთრებულ კრებებს ღიღეს უდიდესი მხიშვნელობა აქვთ. აეთი კრებები უნდა ეწყობოდეს პერიოდიულათ, ე. ი. მაშინ, როცა ამის მოითხოვს დაგროვილი საკითხები, ან ორგანიზაციის მდგომარეობა.

ლ. სალუქვაძე.

პოლიტსკოლეგის სახელმძღვანელოების შესახებ

ამ ბოლო დროს თბილისში ფართოთ გაიშალა პოლიტსკოლების და საღამოს ტიპის საბჭოთა პარტსკოლების

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲕᲗᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ

იტალიის ბაზარი უკანასკნელი წლების განმავლობაში უმთავრესად ამერიკის ნავთით იკვებებოდა. ამ ბოლო დროს კი იტალია ძლიერ დაინტერესებულია საბჭოთა ნავთის ნაწარმოების იტალიაში შეტანით. 1921—23 წლებში იტალიაში სულ შეტანილ იქნა საბჭოთა კავშირის ნავთის ნაწარმოები 632 ათასი ფუთი; 1923—24 წელში ნავთის ნაწარმოებების შეტანა გადიდდა: სულ შეტანილ იქნა 2,6 მილიონი ფუთი. 1924—25 სამეურნეო წელმა ამ მხრით დიდი ცვლილება მოგვცა: საბჭოთა კავშირიდან იტალიაში გატანილ იქნა 15 მილიონი ფუთი ნავთის ნაწარმოები.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება გაიხსნა 1923 წლის მარტში. პირველ ხანებში სამოქმედო რაიონი იყო საქართველო ავტონომიური რესპუბლიკებით და სომხეთი. ამ რაიონებისათვის საქონლის გეგმაშეწონილად მიწოდების მიზნით, განყოფილებას თავისი ფილიალები ჰქონდა ერევანში, ბათომსა და ქუთაისში. მომდინარე წლის მარტში ერევანის სააგენტო გადაკეთდა განყოფილებათ, ქუთაისის და ბათომის საგენტოები კი დაეშორჩილდა სინდიკატს ა | კავკ. საოლქო კანტორას.

სინდიკატის თბილისის განყოფილების გარდა ამ რაიონებს ფართლეულობას აწოდებდენ აგრეთვე ბანკები, მსხვილი სახელმწიფო საკავრო ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც ფართლეულობას იღებდენ უშუალოდ მოსკოვიდან. საერთოდ, ეს რაიონები ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებისა და თბილისს განყოფილების მიერ მანუფაქტურით დაკმაყოფილებული იყო—75—80 პროცენტით. განყოფილების როლი ფართლეულობის მიწოდებაში გამოიხატება 50—55 პროც.

მიმდინარე წლის აგვისტოდან ფართლეულობის შემოზიდვა შემცირდა, რამაც გამოიწვია მოთხოვნილების გადიდება. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბამბის ქსოვილებზე და ბატულის, მაუდის და სელის საქონელზე. ბამბის ქსოვილების ნაკლებობამ გამოიწვია მყიდველთა რიგების შექმნა. განყოფილების ბრუნვა შემცირდა და შემცირდა აგრედვე მძიმე ჯგუფის ქსოვილების გაცემაც. სიღლიუტრაციათ აღენიშნავთ: ბრუნვა ივლისში—1.080.059 მან., აგვისტოში—868.398 მან. და სექტემბრის პირველ ნახევარში—328.680 მანეთი.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲛᲞᲝᲠᲢᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ

საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ამ უკანასკნელ დრს განიხილა რამდენიმე ახალი საიმპორტო ხელშეკრულება, რომელიც საზღვარგარეთ დასვენ ჩვენმა სავაჭრო წარმომადგენლებმა.

გერმანიის სავაჭრო წარმომადგენლობამ დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ გერმანიის უდიდეს ფირმებთან დასდვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები სასოფლო-მეურნეობის იარაღების მიწოდების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამამზადებელი ქარხნები დიდ მატერიალურ სიიაფწოვეს განიცდიან, ფირმები მაინც დათანხმდენ მანკების საშვალებით მისცენ სავაჭრო წარმომადგენლობას კრედიტი სამი მოსავლის განმავლობაში. ხელშეკრულების ძალით ფირმებმა უნდა მოგვაწოდოს დიდძალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ამას გარდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დაამტკიცა ავსტრიის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ დადებული ხელშეკრულება „გოფგარშრანც - კლეიტან - შოტტლვორტ“-ის ფირმასთან სალეწავ მანქანების მიწოდების შესახებ.

შვეიცის სავაჭრო წარმომადგენლობამ ხელშეკრულება დასდო რამდენიმე სხვილ ფირმასთან სეპარატორების და სხვ. იარაღების მიწოდებაზე.

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ

ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საბჭოთა კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს კანტორა-განყოფილებამ გამოიმუშავა მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველი მეოთხედისთვის საფინანსო საკრედიტო გეგმა, რომლის მიხედვით სამრეწველო ბანკის საქართველოს კანტორას განზრახული აქვს გაუდიდოს კრედიტი, როგორც ადგილობრივ სამრეწველო დაწესებულებებს, ისე საქართველოში მომქმედ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტრესტების განყოფილებებს.

გეგმის მიხედვით მრეწველობის სააღრიცხვო-საკრედიტო ოპერაციები მიმდინარე წლის პირველ კვარტალისთვის საშუალოდ 37 პროცენტით დიდდება.

ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲝᲠᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სამაგიეროდ მიმდინარე კვარტალისთვის შემცირებულია კრედიტები კოოპერაციისთვის იმ მოსაზრებით, რომ სხვადასხვა ბანკებს შორის კლიენტურის განაწილების შემდეგ კოოპერაციისთვის სესხის მიცემა იკისრეს სხვა ბანკებმა.

ბანკისგან კრედიტი მიეცემა აგრეთვე კერძო მრეწველობას, უმთავრესად ბანკი კრედიტით ხელს შეუწყობს შავი ქვის კერძო მრეწველობას.

ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

კრედიტების გადიდება საქართველოს მრეწველობის კერძო დარგების და აგრეთვე ცენტრების წარმომადგენლობათა მიხედვით ასეთია: სალითონო მრეწველობისათვის კრედიტის მიცემა გადიდებულია 1500 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობისათვის—55 პროცენტით, საქართველოს სამთო-ქიმიურ მრეწველობისთვის 115 პროც. და საქართველოს გემოკვების მრეწველობისთვის (თითბრის მრეწველობა და სხვა) 35 პროც. საგრძნობლად არის გადიდებული აგრეთვე კრედიტები საქართველოს მრეწველობის სწვა დარგებისათვის.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲚᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ჩვენში დღემდე მიწის განყოფერება სწარმოებდა პრიმიტიულად, მაგ. ნაკელით და სხ.

ასეთი გზით მიწის გასუქებას გლეხი აწარმოებდა უმთავრესად ბაღჩა-ბოსტნებში, დიდი ბაღების და ყანების განოყიერება კი შეძლებული იყო დღემდე. მიწის გამოფიტვა კი საკმაოდ ამცირებდა მოსავლის რაოდენობასაც ამ ადგილებში. სა-ბა უკვე შეუდგა მიწის განოყიერების საქმესთან ერთად. ამ ადგილების ადგილობრივ ნიადაგებს ეფასებენ. ეს საქმე ამ ადგილებში ერთ-ერთ ადგილობრივ ინტერესად ითვლება.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

ზოგიერთ რაიონებში მსხვილ ფეხა საქონლის კარანტინის მოხსნის გამო, გაძლიერდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების, უმთავრესათ ადგილობრივი ხორბალის და სიმინდის შემოტანა. მაგრამ მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რის გამო ხორბლის ფასები მტკიცდა. განსაკუთრებით მრავლად შემოაქვთ გლეხებს ბოსტნეული—უმთავრესად კომბოსტო. ალაზანდან და ნაწილობრივ ზაქათალიდან შემოაქვთ საუკეთესო ხარისხის ვაშლი, რომელიც ხალისით იყიდება ბაზარზე.

შემჩნეულია თივის და ბზის ფასების გადიდება; ბზე ნაკლებათ შემოდის, სრულებით არ არის მინდვრის თივა.

ძალიან გაიზარდა შუშის ფასები: მაგარი ჯიშის სამ არშინიანი შუშა კუბიკური საკენი ფასობს 25—27 მანეთი, არშინ-ნახევრიანი—37 მან., 12 ვერშოკიანი—40—45 მან., შემოტანილი შუშა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. შუშის გაძვირების მიზეზია სატყეო ნიხრის გადიდება, კარანტინი მსხვილ-ფეხა საქონელზე და შუშის დამზადება დიდის რაოდენობით თბილისისა, ზაჰესისა და რკინის გზისათვის.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

გაძლიერდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შემოტანა. მიუხედავათ შემოტანილ პროდუქტების დიდი რაოდენობისა ფასები ხორბლის პროდუქტებზე იზრდება. ხორბალს და სიმინდს ყიდულობენ კერძო პირები ბორჯომის რაიონში გასატანათ. სრულებით არ არის ბაზარზე თივა, ბზე და სახურავის რკინეულობა. დიდი მოთხოვნილებაა გლეხების მხრიდან მაგარ ნარმაზე, ბამბაზიაზე და იაფ დამზადებულ ტანისამოსზე. ეს საქონელი კი კოოპერატივებში არ იშოვება. კერძო პირებს ის შემოაქვთ თბილისიდან და მეტად ხელსაყრელ პირობებში ჰყიდიან. ფართლეულობის კერძო ბაზარზე ფასები იზრდება.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲡᲔᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

თუ რამდენად დიდია სეტყვით გამოწვეული ზარალი საქართველოს სასოფლო მეურნეობაში, გვიჩვენებს სტატისტიკური ცნობები, რომელიც არ არის სრული. ნამდვილად სეტყვისაგან მიყენებული ზარალი უფრო დიდია, ვიდრე ამას აღნიშნავს სტატისტიკა.

7 წლის განმავლობაში საქართველოს სასოფლო მეურნეობას სეტყვისგან უზარალია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ყველაზე დიდი ზარალი 2 676.300 მან. აღწევს. აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის 2.404.400 მანეთი, მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე 274.700 მანეთი.

მაზრების მიხედვით ყველაზე მეტად დაზარალებულია სიღნაღის მაზრა, სადაც მეურნეობის ზარალი უდრის—666.196 მანეთს. შემდეგ ბორჩალოს მაზრა, სადაც ზარალი შეადგენს—400 ათასს მანეთს, თელავის მაზრის—374.842 მანეთს, დუშეთის მაზრისთვის სეტყვას მიუყენებია 300 ათასი მანეთი, ახალქალაქ-ახალციხის მაზრისთვის 290 ათასი მანეთი, თბილისის მაზრისთვის 162.000 მანეთი, გორის მაზრისთვის —150 ათასი მანეთი, ოზურგეთის მაზრისთვის—160 ათასი მანეთი, შორაპნის მაზრისთვის—60 ათასი მანეთი. ამ მაზრებს მოსდევს ქუთაისის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები. დანარჩენ ადგილებში სეტყვით გამოწვეული ზარალი 3 ათასი მანეთიდან ადის 10 ათას მანეთამდე. საქართველოში არ არის ერთი მაზრაც, სადაც სეტყვა არ აყენებდეს საგრძნობ ზარალს.

აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრებში საშუალო ყოველწლიური ზარალი 23.000 მანეთიდან ქანაობს 237.000 მანეთამდე. ამავე დროს ყველაზე დიდი ზარალი მოდის შემდეგ მაზრებზე: სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალციხის, გორის, დუშეთის და თბილისის მაზრებზე. დასავლეთ საქართველოში სხვაზე უფრო სეტყვიანი მაზრებია: ოზურგეთის, შორაპნის, ქუთაისის და რაჭის მაზრები, სადაც ზარალი ყოველწლიურად 2 ათას მანეთიდან 25 ათასამდე ადის. თუ საქართველოს სასოფლო-მეურნეობის 7 წლის მოსავლის საერთო ჯამი 43.780.354 მანეთად იქნება შეფასებული, სეტყვისაგან ამ ხნის განმავლობაში მიყენებული ზარალი მთელ 7 წლის მოსავლის 6,12 პროც. იქნება.

ერთად ერთი საშუალება გლეხობისათვის დაიცვას თავისი მეურნეობა ასეთი ძნიშვნელოვანი ზარალისგან არის მამულების და ყანების სახელმწიფო დაზღვევა.

სულ საქართველოს სასოფლო მეურნეობის დაზღვევისათვის ყოველწლიურად საჭირო იქნება 224.387 მანეთის ფასზღვევი პრემიის გადება, თვითეულ მეურნეობას კი ყოველწლიურად გადახდება მხოლოდ 58 კაპეიკი. ამით საქართველოს საგლეხო მეურნეობა გადარჩება უკეთეს შემთხვევაში 705.534 მანეთის ზარალს, ხოლო უფრო ცუდ შემთხვევაში 2.679.300 მანეთის დაკარგვას.

ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲖᲐᲓᲘᲑᲐ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ

ამიერ-კავკასიაში—წელს დამზადებული უნდა იქნეს 79.965 ტონი ბამბა, აქედან: აზერბეიჯანში—68.600 ტონი, სომხეთში—12.390, საქართველოში—3.434 და აფხაზეთში—541.

ამ რაოდენობიდან პირველი ნოემბრისათვის შესაყიდულია: აზერბეიჯანში—21.416 ტონი. სომხეთში—4.296, საქართველოში—985, აფხაზეთში კი ბამბის შესყიდვა ჯერ არ დაწყებულა.

რაც შეეხება დავალების შესრულებას პროცენტებში, უნდა ითქვას, რომ პირველი ნოემბრისათვის დავალება შესრულებული უნდა ყოფილიყო აზერბეიჯანში 33 პროცენტით—შესრულებულია 33,6 პროც. სომხეთში—33 პროც.—35.6 პროც., საქართველოში 33 პროც.—20,3 პროც. (ბამბის შესყიდვის დავალებაზე ნაკლებ შესრულება საქართველოში აიხსნება იმით, რომ აქაური ქარხნები არ მუშაობენ მანქანების და მათი ნაწილების მოულებლობის გამო).

შესყიდული ბამბიდან დამზადებული იქნა ბამბის ძაფი, რომელიც უკვე გაიგზავნა მოსკოვში შემდეგი რაოდენობით: აზერბეიჯანიდან—281 ვაგონი, სომხეთიდან—29 ვაგონი (აღსანიშნავია ის, რომ გეგმის მიხედვით სომხეთიდან არც ერთი ვაგონი ბამბის ძაფი არ უნდა გაგზავნილიყო), საქართველოდან უნდა გაგზავნილიყო 26 ვაგონი, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი არ გაგზავნილა ბამბის გადაუმუშავებლობის გამო.

ბამბის თესვის კამპანიის დაწყების წინ ამიერ-კავკასიის სამამძო კომიტეტმა რესპუბლიკანური კომიტეტების საშუალებით მებამბე გლეხობას დაურიგა ავანსები: აზერბეიჯანში—4.923.346 მან. 55 კაპ. სომხეთში—1.041.609 მან. 81 კაპ. და საქართველოში—376.359 მან. 79 კაპ.

აქედან პირველ ნოემბრისათვის გლეხებს ჩაბარებულ ბამბაში გამოუქვითეს: აზერბეიჯანში—2.492.867 მანეთი, სომხეთში—529.000 მან. და საქართველოში—166,500 მანეთი.

ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ

ქახეთი მდიდარია ტყეებით. სიღნაღის მაზრაში ტყეებს უჭირავთ ასი ათასი დესეტინა, რაც მთელი მაზრის მიწის მოედნის 20 პროცენტს შეადგენს. ქახეთის ტყეებში ხარობს ძვირფასი ხის ჯიშები: მუხა, წიფელა, კოპიტი, ნაკერჩხალი, ელდარის ფიქი. ეს უკანასკნელი ჯიშის სუგეტვდება მხოლოდ ელდარის ველზე-ალაზნის გალმა ზეთან ნაწილებში იზრდება ცაცხვი, წაბლის ხე, ნიგვზის ხე და თხილი, რომელიც იძლევიან საყოფს და ამავე დროს წარმოადგენენ ხეტყის ძვირფას მასალას. საყოფი იხმარება ადგილობრივ საჭ�და ამასთანავე მისგან ხდიან ზეთს.

ქახეთის ტყეები დაყოფილია ორი სატყეო რაიონად: სოფლების და შირაქის სატყეო რაიონებად. ამ ორ რაიონს უვლის ორი მეტყევე, ხუთი მათი თანაშემწე და 15 ტყის მცველი. ტყის მოვლა საჭიროებს ტყის მცველთა შტატის გადიდებას.

ტყის ვრცელი მოედნები, რომელთა პატრონობას უნდება თვითეულ ტყისმცველი, და აგრეთვე მთიან ადგილებში მომოსვლის სიძნელე, ტყის მცველებს ფიზიკურ შესაძლებლობას უსპობენ რიგიანად აასრულონ დაკისრებული დავალებანი. ტყის მცველის მუშობა მეტის-მეტად ძნელი ხდება, რადგან მათ დღე და ღამე ფიზიზლად ყოფნამარხოებთ, რომ სათანადოთ დაიცვან ტყეები განადგურებისაგან.

ტყის უთავბოლოდ გაჩეხვამ მიიღო საყოველთაო ხასიათი. გლეხები, რომელნიც ტყეებს სჩეხენ, ხშირად არ ემორჩილებიან ტყის დარაჯების მოთხოვნილებას—შესწყვეტონ ხეების მოჭრა. ბრძოლა ტყეების ნებადაურთველად გაჩეხვასთან სწარმოებს სამუშაო იარაღების წართმევის და ოქმების შედგენის და ტყის მჩეხელ გლეხების პასუხისგებაში მიცემის საშუალებით; მაგრამ რადგან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა სასტიკად დაესაჯათ გლეხი ტყის ნებადაურთველად გაჩეხისათვის, გლეხები არ ეროდებიან პასუხისგებაში მიცემას და გაგრძელებენ ტყის დაუნდობელ ჩეხვას.

ქახეთის ტყეებს ექსპლოატაციას აწარმოებენ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო ტრესტი და ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ხე-ტყის დამამუშავებელი განყოფილება. ტყეებში მზადდება მორები, რომელიც მიაქვთ სადგურ წნორის წყალზე, სადაც რკინის გზის ხე-ტყის დამამზადებელ განყოფილებას აქვს სამი სახერხი ქარხანა. აქ მზადდება შპალები ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგისათვის.

გარდა ამისა სატყეო ტრესტი ამზადებს საამშენებლო მასალას და შეშას.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘ ᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲑᲐ

(ქუთაისის მაზრა)

(საქართველოს ცკის თავმჯდომარის საყურადღებოთ)

ამ ერთი წლის წინათ ვანის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეთ იყო კ. ნიკოლეიშვილი. რევიზიამ სხვა დეფიციტებთან ერთად მას წამოუყენა ორი სერიოზული ბრალდება. პირველი, თავმჯდომარეობის დროს კ. ნიკოლეიშვილს სამტრედიის ცეკავშირის განყოფილებიდან წამოღებული ჰქონებია რამოდენიმე ათასი მან. სიმინდის შესაძენათ ანგარიშის წარდგენის დროს მას დაკლდა 800—850 მანეთი. მეორე, რევიზიამ კოოპერატივის თავმჯდომარე კ. ნიკოლეიშვილს ალმოუჩინა 2000 მანეთის ყაღბი საბუთები. ამ ბრალდებების გამო კ. ნიკოლეიშვილი მოხსნილი იქნა; ოქმი მთელი კვლევა-ძიებით გადაეცა დასავლეთ საქართველოს პროკურორს. საქმე ამით შეწყდა, კ. ნიკოლეიშვილი უკეთეს ადგილზე მსახურობს, ბორტომომქმედი არხეინათ დაბრძანდება. მის პასუხისგებაში მიცემაზე არავინ არ ფიქრობს.

ორი თვის წინათ პარკის ოპერაციის დროს ჩვენი კოოპერატივის გამგეობის წევრმა—ვ. ჯღერიამ ქუთაისის ცეკავშირის განყოფილებიდან თხილის შესასყიდათ ავანსად მიიღო 1600 მან., ამ თანხიდან ვ. ჯღერიამ კოოპერატივს გადასცა მხოლოდ 600 მან., 1000 მანეთი კი როგორც თვითონ ჯღერიამ განაცხადა, „დაჰკარგეა“. მაგრამ ეს ფული მას შეუკვრეხნია. ვ. ჯღერიას შეუდგენეს სათანადო ოქმი და გადასცეს გამომძიებელს, რომელმაც იმ დღესვე „გაუშვა ვ. ჯღერია თავდების ქვეშ. ამ ერთი თვის წინათ რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ნოქარს, მოინგარიშეს და გამგეობასწევრს — ვ. ჯღერიას გაუფლანგავთ 850 მან. სამივე თავისუფლათ დასეირნობენ.

კოოპერატივი იღუპება. გლეხებს გული აუცრუვდათ კოოპერაციაზე. გლეხები ამბობენ: საწვერო გადასახადს ვიხდით, ვცდილობთ კოოპერაციას რამე შეეძინოთ, სხვები კი ჩვენ ფულს ფლანგავენ და მათ არავინ არაფერს არ ელაპარაკება; ფულის გამფლანგველები დაუსჯელათ რჩებიანო.

მოგვაქციეთ ყურადღება, კოოპერატივი იღუპება.

მუშკორი მიხო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

(ბაღდადის თემი, ქუთაისის მაზრა)

დ. ბაღდადში არის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება „ხალხი“, როშელსაც სხვადასხვა თემში აქვს 14 განყოფილება. ამ კოოპერატივის გარშემო ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ხალხში. ამან აიძულა ცეკავშირის ქუთაისის განყოფილება და სამპარტკომი მიეკითხა ამისათვის სერიოზული ყურადღება. სასტიკი რევიზიის შედეგად, რომელიც მოახდინეს ცეკავშირმა და პარტკომის წარმომადგენლებმა ადგილობრივი რევიზიის თანადასწრებით, აღმოჩნდა, რომ კოოპერაცია მდგარა თავის სიმაღლეზე. ერთი წლის განმავლობაში კოოპერაციამ დატოვა მოგება 6.000 მანეთი. აღმოჩნდა, რომ დღევანდელი გამგეობის მუშაობა სპეტაკი და მიზანშეწონილია.

რა თქმა უნდა კოოპერაციას აქვს მცირეოდენი ნაკლი, მაგრამ გამგეობის მუყაითი მუშაობით ეს ნაკლიც გამოსწორდება.

სამეურნეო კოოპერაცია.—ჩვენ თემში არის ორი მეღვინეთა და მევენახეთა ამხანაგობა „დიმი“ და „ბაღდადი“. ამ ამხანაგობებს უკვე გადაყენებულმა გამგეობებმა ვალი დაატეხეს და ქონება გაფლანგეს. ამ „აქციოლი“ მუშაობისათვის ისინი გაგზავნილია „დასასვენებელ სახლში“. და ჩვენი თხოვნაა, რადგან ისინი ძალზე დასუსტებული არიან ფლანგვით, გაიჩერონ პატარა ხანს იქ, სადაც ახლა არიან.

დღევანდელი გამგეობა ფიზიზლადაა. წელს გამგეობამ მთავრობიდან მიცემული თანხით შეისყიდა ყურძენი და სხ. სოფლის ნაწარეობი.

გარდა ამისა თვითეულ ამ კოოპერატივმა მიიღო 12,500 მ ნ. მარნების ასაშენებლათ. ყურძნისა და ღვინის ბაზრის გამონახვამ გლეხობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ ორგანიზაციებმა მათ თავი შეაყვარეს. დღეს გლეხი გაბედულათ ამბობს: „აღარ მჭირდება ხურჯინით „პრობების“ თრევა მეკიტნებთან“-ო.

გ. ჯანელიძე.

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ცეკავშირი, თავისი აპარატის და მოკავშირე კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით, ეწევა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა დამზადებას. როგორიცაა: მატყლი, ბამბა, თამბაქო, ტყავი, ღვინო, არაყი, ხორბალი, სიმინდი, ჯაგარი, ქერი ლობიო, თივა, კაკალი და სხვ.

1924 წლის ოქტომბრიდან, ვიდრე ამა წლის ოქტომბრამდე, ცეკავშირს აღნიშნული პროდუქტები დაუმზადებია 2.188.235 მანეთის.

აღნიშნულ პროდუქტებიდან გატანილია რუსეთის ბაზრებზე 14 ათასი ფუთი, ხოლო დანარჩენი პროდუქტები გასაღებულია ადგილობრივ ბაზრებზე, ადგილობრივ მოთხოვნილებისათვის. პროდუქტები გასაღებულია სულ 2.767.220 მანეთის ღირებულების.

აღნიშნულ ნაწარმოებთა დამზადებას ცეკავშირი ეხლაც აწარმოებს.

ᲛᲐᲚᲐᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲐᲚᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲛ ᲨᲐᲛᲐᲗ

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მალარიასთან ბრძოლის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

მალარია საქართველოში გავრცელებულია უხსოვარ დროიდან. ის აქ ენდემიურია კლიმატიურ და სხვა მედიკო-ტოპოგრაფიულ პირობებისა და ქვეყნის თავისებურების გამო. საქართველოში გავრცელებულია მალარიის ყველა ფორმები. უკანასკნელ ხანებში კი განსაკუთრებით გავრცელდა ტროპიკული მალარია.

მალარია საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგ შვიდ მაზრაში: ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის, გორის მაზრებში და ყარაიაში. სამალარიო ექსპედიციების ცნობებით, ამ მაზრების მოსახლეობა მალარიით დაავათმყოფებულია 50-90 პროცენტამდე.

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს სრულიად საქართველოს ცენტრალური სამალარიო კომიტეტი, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობას უწევს მალარიის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ორგანიზაციებს.

ამ კომიტეტს ადგილებზე მოწყობილი აქვს თავისი განყოფილებები. ამას გარდა მაზრებში არსებობს კიდევ სამაზრო სამალარიო კომიტეტები. ცენტრალურ სამალარიო კომიტეტის სპეციალური სამეცნიერო ორგანოა საქართველოს ტროპიკული ინსტიტუტი კლინიკური განყოფილებით, 20 საწოლით და მუდმივი ამბულატორიით მალარიით დასნეულებულთათვის.

ტროპიკული ინსტიტუტი ამ ეამათ კახეთში, ყარაიაში, ქვემო-იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში ხსნის 6 სამეცნიერო სამალარიო სადგურს, სადაც მოწყობილი იქნება აბზულატორიები ავთმყოფთათვის.

სხვა სამეცნიერო-პრაქტიკულ ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფ. სანიტარული ინსტიტუტის სამალარიო განყოფილება, რომელიც აგრეთვე ამუშავებს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. ამას გარდა, ორის კიდევ უძველესი სამალარიო სადგური ბათომში, სპეციალური ლაბორატორია და სამალარიო სექცია რკინიგზის ჯანმრთელობის განყოფილებასთან, საავთმყოფო თბილისში და სურამში და ერთი მოძრავი სამალარიო რაზმი.

ეს დაწესებულებები სპეციალურ დახმარებას უწევენ ავთმყოფებს; ამასთანავე ისინი სწავლობენ მალარიას და ეპიდემიური მალარიის საკითხებს ადგილობრივ კლიმატიურ პირობებთან დაკავშირებით.

მათი მუშაობის რაიონებია ყარაია, ქვარელი, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი, ოზურგეთი, სიღნაღი, თელავი, გორი და სხვა.

ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ყველა ეს დაწესებულებები მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ მხოლოდ 25 პროცენტით.

მალარიასთან ბრძოლის საქმის რაციონალურათ დაყენებისათვის საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება.

პირველ წელიწადს ყველა არსებულ სამალარიო სადგურებთან გაიხსნება სტაციონარული განყოფილებები 10 საწოლით და 2 ექსპედიციით; ამას გარდა თბილისში გაიხსნება საავთმყოფო 30 საწოლით, სადაც გაიხსნება ტროპიკული ინსტიტუტის კლინიკური განყოფილება. ამასთანავე შეძენილი იქნება 3,000 კილო ქინაქინა.

შემდეგ წლებში მოხდება პატარა ჭაობების ამოშრობა, გაფართოვებული იქნება სამალარიო სადგურების ქსელი, შეძენილი იქნება ქინაქინა უფრო მეტის რაოდენობით და ამას გარდა, სურამში დაარსებული იქნება კლიმატიური სადგური 200 საწოლით, ასეთივე სადგურები მოწყობილი იქნება ბახმაროზე და თეთრ მთაზე (ზუგდიდის ახლო) თითო სადგური 50 საწოლით.

ამასთანავე პერსპექტიული გეგმა თვალსაწინოებს მინების დაცვის და ინდივიდუალური თავდაცვის მექანიკური საშუალებების მიწოდებას იმ რაიონების მოსახლეობისათვის, სადაც მალარია უფრო გავრცელებულია.

ყველა ამ ღონისძიებების გასატარებლათ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გამოთხოვილია 5.348.287 მან. 20 კაპ.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲤᲝᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს-პრეზიდიუმ მოუწოდა დელეგაციას, რომ დანიის მუშათა დელეგაციამ 15 ნოემბრის შემადგენლობით თბილისში ჩამოვიდეს, 22 ნოემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე და 50 წუთზე. დელეგაციას თან წამოყვება სრულიად საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. რომანოვი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲝᲬᲘᲡᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

მეორე დღის დილის სხდომაზე დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

პირველი მოხსენება გააკეთა აღბულაღის რაიონის (თბილისის მაზრა) მოსამართლემ ამხ. წერეთელმა, რომელიც ვრცლად შეეხო იქ მომხდარ ბოროტმოქმედებათა ხასიათს. მომხსენებლის გადმოცემით აღბულაღის რაიონში სხვა ბოროტმოქმედებათა შორის ყველაზე მეტად გ

მაგისტრალური ნავთსადგურის საკითხი

(საუბარი საქართველოს სამეურნეო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ე. ალფეიანისთან)

ამიერ-კავკასიის საგეგმო ორგანოებში ამჟამად სდგას საკითხი მაგისტრალური ნავთსადგურის არჩევის შესახებ. „ბაკინსკაია ნეფტიანოიეს“ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ინჟ. ალშიბაიამ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

თავიანი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ამიერ კავკასია უმჯობესად ბაზაა საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციების განსაკეთებლად, ამიტომ მაგისტრალური ნავთსადგურის არჩევა ამიერ კავკასიისათვის აუცილებელია. არჩევანის დროს ბათომსა და ფოთს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნავთსადგურ ფოთს შემდეგი მოსაზრებების გამო.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია ბათომის ნავთსადგურის ტერიტორიაზე 1930 წლისათვის განსაზღვრავს 130.000.000 ფუთით, ყველა იმ ტვირთების რაოდენობა კი, რომელიც გაიგზავნება ნავთსადგურ-ფოთიდან 1930 წელში მიაღწევს 146 მილიონ ფუთს. ამ ს გარდა, მინძილი ნავთსადგურ ფოთიდან გასაგზავნი ტვირთების ძირითად წყაროებამდე რკინის გზით 37 კილომეტრით ნაკლებია, ვიდრე ბათომიდან, რაც უეჭველად იიაფებს და აჩქარებს ტრანსპორტს. კომბინირი პირობები ორივე ამ ნავთსადგურისა ერთნაირია, მაგრამ ფოთში ეს პირობები გაუმჯობესებული იქნება იმ მუშაობის დასრულების შემდეგ, რომელიც ეხლა სწარმოებს ფოთის ჭაობების ამოსაშრობად.

ფოთის ნავთსადგურის სხვა საერთო ტეხნიკური პირობებიც აგრეთვე დადებითად სწყვეტენ საკითხს ფოთის სასარგებლოდ. ასე მაგ., ფოთის ნავთსადგურს აქვს მრავალი სამოძალაკო და ტეხნიკური ნაშენები, ის უფრო გამოსადეგია, როგორც ტვირთების დასაწყობათ, ისე გემების შემოსასვლელად და საშუალებას იძლევა უფრო დიდის რაოდენობით იქნეს წარმოდგენილი სატვირთო ოპერაციები, ვიდრე ბათომში. ამას გარდა, ფოთის ნავთსადგურს აქვს თავისუფალი მიწების დიდი სივრცე, რაც საშუალებას იძლევა გაფართოვებული იქნეს ნავთსადგური ყოველი მიმართულებით.

ბათომის ნავთსადგურს აქვს მთელი რიგი არსებითი დეფექტები: მაგალითად მოელვარე ნავთსადგომი, რის გამო გემები წელიწადში 60 დღის განმავლობაში იძულებული არიან დასტოვონ ნავსადგური და გაეგზავნონ შუა ზღვაში; ამასთანავე ნავთსადგურის ტერიტორია მცირეა და ის უზრუნველყოფილი არ არის ცეცხლის გაჩენისაგან, რადგან ბათომი ნავთის საექსპორტო ნავთსადგური.

ფოთის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის მოკლებული არ არის წყლის გზებს, როგორც ბათომი. ნავთსადგურში მამავალ გზათ ითვლება მდინარე რიონა თავისი შესართავებით. ამჟამად მდინარე რიონზე ნოსსნობის გახსნის საკითხი გამოყოფილია ცალკე საკითხათ და შემქმილია საინიციატივო კომისია, რომელმაც ახლო მომავალში უნდა წარმოადგინოს ნაბოსნობის, როგორც ეკონომიური, ისე ტეხნიკური პირობები, და აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა ნაოსნობის აღსაგებათ. ამრიგად, მომავალში ფოთში ნაოსნობის საშუალებით უნდა მიიღოს 15—20 მილიონი ფუთი სხვადასხვა ტვირთი.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ არჩევნის დროს ბათომსა და ფოთს შორის, ჩემის აზრით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნავთსადგურ ფოთს, რომელსაც აქვს ყველა ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს მაგისტრალურ ნავთსადგურს და უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს შემდგომი განვითარებისათვის, ვიდრე ბათომს.

ბ.

ნავრო-პატალოგთა ყრილოცის შედეგები

ამ რამდენიმე დღის წინად დასრულდა საბჭოთა კავშირის ნავრო-პატალოგთა ყრილობა, რომელზედაც საქართველოდან სხვებთან ერთად გაგზავნილი იყო ჯან. სახ. კომის. სამეურნეოთა განყოფილების გამგე ე. გოცირიძე.

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში ყრილობის შედეგების შესახებ ე. გოცირიძემ განაცხადა შემდეგი:

ყრილობა ფრიად მნიშვნელოვანი გამოდგა. მას დაესწრენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები და აარქვეს ცნობილი მეცნიერნი ნავრო-პატალოგები. ყრილობამ მოისმინა და განიხილა 20-დე სამეცნიერო და 50-დე ეკონომიური ხასიათის მოხსენება. ყრილობამ მთავარი ყურადღება მიაქცია პროფილაქტიურ ღონისძიებებს მედიცინის ამ დარგში და გამომუშავა მოსახლეობის ნავრო ფსიქიური გაჯანსაღების საკითხები.

ყრილობის ერთი ძირითადი საკითხთაგანი იყო საკითხი ნავრო-ფსიქიატრიული პროფილაქტიკის შესახებ, რადგან ომიანობის შემდეგ ნერვიულობა ავადმყოფობამ მასიური ხასიათი მიიღო, ამიტომ ყრილობის დასკვნის მიხედვით ნერვიული პროფილაქტიკა საფუძველად უნდა დაეფუძნოს ნავრ ოპატოლოგიურ მკურნალობას. ყრილობამ საგანგებოდ აღიარა ამ საკითხში ხალხთან დაახლოვება, სულიერ ავადმყოფთა განსაკუთრებული მოვლა, მათი განცალკევება და სხვა.

ვინაიდან საავადმყოფოებში საწოლებით სარგებლობს ნერვიული ავადმყოფთა მხოლოდ 5 პროცენტი, დანარჩენ 95 პროც.-ზე კი ზრუნავენ მხოლოდ პირისუფლები, ყრილობამ გადაუდებელ ამოცანად წამოაყენა, გადადებულ იქნეს სულიერ ავადმყოფებისათვის საწოლების რიცხვი; საამისო ხარჯები უნდა დაეკისროს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ადგილობრივ ორგანოებსაც.

კერძოთ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას ნერვიულ ავადმყოფებისათვის არ მოეპოვება ერთი საწოლიც; რუსეთში კი დიდი იქნება, თუ ერთი მესამედი საწოლებისა იმყოფება სახელმწიფო მიუჯიტზე. წამოყენებულ იქნა აგრეთვე საკითხი სპატრონაჟეთ საქმის გაძლიერების შესახებ—ყრილობამ საჭიროდ აღიარა მოწესრიგებულ იქნეს თვალყურის დევნება და მზრუნველობა სახლში მყოფ სულიერ ავადმყოფებზე.

დიდი ყურადღება მიექცა საექიმო პერსონალის მომზადებას. ყრილობის დადგენილებით უნდა გაიხსნას დაბალი და საშუალო სპეციალური სკოლები და ინტერნატები ექიმებისთვის. ყრილობამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე საკითხებს ფსიქიატრიულ სამკურნალოებს მედპერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და მათი სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

დანარჩენ საკითხებში, რომელიც ყრილობამ განიხილა, აღსანიშნავია საკითხი ომის ინვალიდებზე, განსაკუთრებით ტრამვატიკებზე, რომელნიც იძულებით მკურნალობას საჭიროებენ. პროსტიტუციის აღსაკვეთად ყრილობამ საჭიროდ სცნო შეიქმნას საღი ცხოვრების პირობები, რომ მათ საშუალება მიეცეთ პატიოსანი შრომისა.

ყრილობა შეეხო კინოსაც, რომელიც სარგებლობის ნაკლოვად დიდ ვნებას აყენებს ახალგაზრდობას იმ მხრივ, რომ სქესობრივად რეგნის ახალგაზრდებს და უმახინჯებს გემოვნებას.

რაც შეეხება წვრილ ფსიქიურ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეს, ამ მხრივ საქართველო არ ჩამოყრჩება სხვა რესპუბლიკებს. ჩვენში საწოლთა რაოდენობა სხვა რესპუბლიკებზე ნაკლებად არ არის, თუმც სულიერ ავადმყოფთა დიდი ნაწილი საავადმყოფოების გარეშე იმყოფება. ყრილობაზე გამოირკვა, რომ სულიერ ავადმყოფთა მკურნალობის მხრივ საქართველოს სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ჰქონია უპირატესობა, რადგან ამ საქმეს ჩვენში ხელმძღვანელობს ერთ-ერთი საუკეთესო ფსიქიატრთაგანი საბჭოთა კავშირში -პროფ. ას თა ნი.

საგზაო მშენებლობა

გზატკეცილების სტერთო სიგრძე

ამჟამად საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში იმყოფება გზატკეცილების ქსელი, რომლის საერთო სიგრძე 1500 ვერსს აღემატება.

1924—25 სბიიუჯეტო წლის განმავლობაში სწარმოებდა ამ ქსელის შესაკეთებელი მუშაობა. გასულ სამეურნეო წელს შესრულებულ იქნა ყველა გზატკეცილებზე 10.500 კუბიკური საჟენი მიწის სამუშაოებისა და 5600 კუბ. საჟენი კლდის სამუშაობები.

ფარეშან დაწყებული გზატკეცილები

გასულ სამეურნეო წელშივე გზატკეცილების სამმართველ ომ დაიწყო მოელ რიგ ახალ გზატკეცილების გაყვანა.

მომდინარე წლის ზაფხულში დაწყებულ იქნა წყალტუბოს, სურამ-ძირულის და ჯავა-როკის ახალი გზატკეცილების გაყვანა. ყველა ამ გზების საერთო სიგრძე ა ვერსს აღემატება. წყალტუბოს გზატკეცილზე თითქმის დასრულებულია შავი სამუშაობები. 1926 წლის მაისის პირველ რიცხვებში—ე. ი. საკურორტო სეზონის დაწყებისათვის სამუშაობები სავსებით დასრულდება და გახსნილ იქნება ავტო-ტრანსპორტის მოძრაობა ქუთაისიდან წყალტუბომდე.

მუშაობა ამჟამად

ამჟამად სწარმოებს აგრეთვე დიდი შესაკეთებელი მუშობა შავი ზღვის გზატკეცილზე ენგურ-სოხუმ-გაგრა-პილენკოვოს მიმართულებით. ამ სამუშაოების საწარმოებლად ცენტრისგან გაღებულია 3.500.000 მანეთი.

დღემდე შავი ზღვის გზატკეცილზე შესრულებულია მთელი სამუშაოების 60 პროცენტი. სავსებით დამთავრებულია ხელოვნურ ნაშენებათა აგება.

ახალი გზატკეცილების გაყვანა

უკვე დაწყებულ სბიიუჯეტო წლის განმავლობაში სამმართველოს გეგმა აქვს გაიყვანოს ახალი გზები. მოკლე ხანში შეუდგებიან ჯავახეთის, სვ ნეთის, ბაკურიანი-ახალქალაქის გზატკეცილის გაყვანას. გარდა ამისა მომდინარე სბიიუჯეტო წლის განმავლობაში იწარმოებს დიდი სარემონტო მუშაობა სოხუმის, ქუთაისის, აბასთუმანის, ბორჯომის, საქართველოს სამხედრო და კახეთის გზატკეცილების შესაკეთებლად.

ეროვნებაში

პროფკავშირების ეკონომ. მუშაობის გამოცხლებისათვის

ეკონომმუშაობა სამართლიანად ითვლება ჩვენი პროფორგანოების ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან ამოცანად. მართალია, ამ მიმართულებით მ მდინარე წელში ბევრი რამ გაკეთდა, მაფრამ ჯერ კიდევ ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელი. არ ვამრა ზეადან მხოლოდ დირექტიული ხელმძღვანელობა. საჭიროა ეკონომ. მუშაობის ძირითად პროფორგანოებში გაღრმავება-გაფართოება. მისი ნამდვილ მნიშვნელობის მუშაობა მასს მიერ შეგნება-შესისხლხორცება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეკონომ. მუშაობა ადგილებში ძალზე მოდუნებულია და მოიკოქლებს. ფაბრ-ქარხკომები, ადგილკომები და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობა ფრაქციები ჯერ კიდევ ვერ ერკვევიან პროფსაბჭოს საეკონომიოსატარიფო განყოფილების ამის შესახებ არსებულ დირექტივებში და ცირკულიარებში და ვერც ატარებენ ფრ ცხოვრებაში.

მაგ. ფაბრ-ქარხკომებს ჰქონდათ მიცემული ასეთი დირექტივები, რომ მათ მიეღოთ უშუალო და ენერგიული მონაწილეობა ადგილობრივ სამეურნეო ორგანოს მუშაობაში; მოეწესიათ ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სამ თვეში ერთხელ მაინც, სადაც ადმინისტრაციას უნდა გაეკეთებინა ვრცელი მოხსენება თავის მუშაობის და მისდამი რწმენებულ სამეურნეო ორგანოს ეკონომიურ და ფინანსიურ შესაძლებლობის შესახებ. თვით მუშებს უნდა მიეღოთ მასიური და უშუალო მონაწილეობა ადმინისტრაციის საქმიანობის ობიექტიურ გაკრიტიკებაში სწორ შეფასებაში და სხ. ყველა ამას ეკნებოდა უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი წარმოების აღორძინება-განმტკიცებაში.

ჩვენი მუშები დეტალურად გაეცნობოდენ რა თავიანთი წამოწყებადაშესებულების ეკონომიურ მდგომარეობას, უფრო შეგნებულად და სამართლიანად შეუფარდებდენ თავიანთ პირად მოთხოვნილებებს წარმოების ფინანსიურ პირობებს და შრომის ხელფასის ნიადაგზე აღმოცენებულ ყოველგვარ არა სასურველ მოვლენებს, (რასაც ჩვენ ოთქმის ყველგან ვხედავთ) ადგილი არ ექნებოდა; მასთან ისინი უფრო ენერგიულად უფრო ბეჯითად მოკიდებდენ ხელს წარმოების აღორძინება-აყვავების საქმეს. ისინი გაეცნობოდენ თავის წარმოება-დაწესებულების ნამდვილ მტკივნეულ მხარეებს და მასთან დაკავშირებულ თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობას და მიიღებდენ ყოველგვარ ზომებს აღნიშნულ დეფიექტების აღმოსაფხვრელად და სხ.

ფაბრ-ქარხკომები და ადგილკომები მოწოდებული არიან აგრეთვე თვალყური ადევნონ თავიანთ სამეურნეო ორგანოს მუშაობის დეფექტებს და მიიღონ ყოველგვარი ზომები მათ მოსასპობად.

საქონლის სწორ კალკულიაციაში, ზედნადებ ხარჯების დაწესებაში ადგილკომები და ფაბრ-ქარხკომები აგრეთვე უნდა იღებდენ მხურვალე მონაწილეობას.

მათ ევალებათ გაუწიონ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის მუშაობა ფრაქციას უშუალო ხელმძღვანელობა.

სინამდვილეში კი ჩვენი ადგილობრივი პროფუჯრედები ყველა ამ დარგებში ძალზე მოიკოქლებენ საქმის და თავიანთი მოვალეობის უცოდინარობის გამო; მათვე აკლიათ პროფშეგნება და გამბედაობა აუცილებელ და საჭირო შემთხვევებში გაუწიონ ადმინისტრაციის უყაირათობა—„უთავბოლას“, კანონიერი და მიზანშეწონილი წინააღმდეგობა.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე შრომის დაცვის და დისციპლინის კომისიები და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობა ფრაქციებმ.

ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენი უმაღლესი პროფორგანოები ვერ უწევენ მათ უშუალო, ცოცხალ ხელმძღვანელობას. აქედან ცხადია, რომ მარტო ცირკულიარებით კიეგა სრულებით არ კმარა, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ საჭიროა უმაღლესმა პროფორგანოებმა აამოძრაონ პროფფუჯრედები და მუშათა ქვედა ფენებიც.

გამ.

პროფმუშაოგის ქრონიკა

რკინის გზის პროფკავშირებში

— ერთი სანატორიუმი ა. კ. რკინის-გზელთა პროფკავშირმა მიმართა საკარ. ეკონომ. სახალხო კომისარიატს რათა მან გადასცეს რკინისგზელებს ერთი სანატორიუმი.

— საზამთრო ტანსაცმელები ა | კ. რკ. გზ. პროფკავშირმა მიმართა ა | კ. რკ. გზ. სამმართველოს მიღოს სათანადო ზომები, რათა რკინისგზელები თავის დროზე იქნენ დაკმაყოფილებულნი საზამთრო სპეცტანსაცმელეებით.

— ტეხნიკური მუშაკები, ა | კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკ. გზ. პროფგანათლებას განყოფილებას პირველ რიგებში გაიცნოს ველოს მუშაობა იმ კვალიფიკაციის ტეხნიკურ მუშაკთა მომზადების საქმეში, რომელთა ნაკლულევანებასაც ამ ჟამად ხაზზე აქვს ადგილი.

— საერთო კრებებზე თბილისის საუბნო პროფკავშირმა მიმართა მთავარ სახელოსნოს ადგილკომს ყოველ ოთხ საერთო კრებებზე მოხსენებები თავის მუშაობის გარშემო.

თბილისის საუბნო პროფკავშირმა ტრანსპორტის პროფმოძრაობის ისტორიის მუშაკთ გამოჰყო ამხ. ერმილე კალანდაძე.

— პროფსკოლა ლენინის რაიონის ახალგაზრდათა კონფერენციამ მიმართა თბილ. საუბნო პროფკავშირს დაარსოს თბილისში ერთი პროფსკოლა ახალგაზრდა მუშებისათვის.

— ჯავშნიდან ლენინის რაიონის ახალგაზრდათა კონფერენციამ მიმართა საუბნო კომიტეტში შემავალ ახალგაზრდათა წარმომადგენელს მოაგვაროს საკითხი რათა წარმოებაზე პირველ რიგში გადაყვანილ იქნენ ახალგაზრდები ჯავშნებიდან.

საფოსტო გარათეგის დამტარებლები სოფლად

მომდინარე სამეურნეო წელს ა | კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ქმნის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოფლებში წერილების დამტარებელთა თანამდებობას. ქვეითი ფოსტალიონების ასეთი თანამდებობა არსებობს გერმანიაში, წერილების ქვეითი დამტარებელთა ორგანიზაცია დამოკიდებულია სომხეთის ერთ მაზრაში (დელიჯანის მაზრა). მაზრა დანაწილებულია 5 უბნად, ყოველი უბანი აბარია ერთს წერილების დამტარებელს, რომელსაც დავალებული აქვს კვირაში ორჯერ შემოიაროს თავის უბნის სოფლები და აწარმოოს ყოველგვარი საფოსტო ოპერაციები. თვითეულ ქვეით დამტარებელს კვირაში ორჯერ უხდება შემოიაროს რაიონი, რომლის საერთო სიგრძე არ აღემატება 20—30 ვერსს. აზერბეიჯანში წერილების დამტარებელთა თანამდებობა შემოღებულია კარიაგინის მაზრაში.

ორივე რესპუბლიკების გლეხობა ძალიან კმაყოფილია ფოსტის დამტარებელთა თანამდებობის შემოღებით.

საქართველოში სოფლის ფოსტალიონთა ორგანიზაციის მოწყობა ამ ჟამად მომდინარეობს.

ა | კ. სამივე რესპუბლიკაში წერილების დამტარებელთა თანამდებობა ჯერჯერობით სინიმუშოდ იქმნება მხოლოდ რესპუბლიკის ერთს მაზრაში.

შემდეგ იგი შემოღებულ იქნება რესპუბლიკების ყველა მაზრებში.

ახალ-სენაკის სატელეფონო ქსელის გადაკეთება.

ა | კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კავშირში აღძრულია შუამდგომლობა ახალ-სენაკის სატელეფონო ბაზის გადაკეთების შესახებ. ქსელი ნაცვლად არსებულ ერთმავთულიან სისტემისა გადაკეთებულ იქნება ორმავთულიანად. გადაკეთებისთვის საჭირო მასალები უკვე მომზარაგებულია.

შამგონ-ზუგდიდის ხაზზე დამთავრდა სატელეფონო ხაზის გაყვანა. ხაზი გაყვანილია სატყეო მრეწველობის საჭიროებისთვის.

დავესვაროთ „წერკუმს“-ს

შემაქვს წერკუმსის სასარგებლოდ ამხ. მელქისედეკ კანდელაკის გამოწვევით 5 მან. და ვიწვევ დამცველთა კოლეგიიდან შემდეგ ამხანაგებს 1 ოსიკო ბარათაშვილს, 2. ისიკო მაჟავრიანს, 3. პარმენ გედევანაშვილს, 4. ივანე ჯაფარიძეს, 5. სამსონ დადიანს, 6. შოთა დადიანს, 7. ივანე გუბელაძეს, 8. კოკი აბაშიძეს.

ფულის შეტანა შეიძლება იუსტ. სახ. კომ. წერკუმსი-ს თავმჯდომარე ამხ. ხარაბაძესთან.

დამ. კოლ. წევრი. მიხეილ დვალიჩავა.

—

შემომაქვს ასი მანეთი „წერკუმსის“ სასარგებლოდ ვიწვევ შემდეგ სავაჭრო დაწესებულებებს:

„კავინეკსპორტ“, „ვოსვინეტრუსტს“, საურთიერთო ნაერთის სახ ბას, „რუზიერ[illegible]“ [illegible] გამომცემლობას.

ბიბლიოგრ[illegible]

ლენინის „წერკუმს“-ის რაიბიუროს დიდ მადლობას უძღვნის რკ. გზის სამმართველოს გამგეობას, რომელმაც შემოსწირა 300 მანეთი (სამასი ბ.) „წერკუმს“-ის ფონდის გასაძლიერებლად.

ლენინის „წერკუმს“-ის რაიბიუროს მდივანი ნორაკიძე.

ქრონიკა

საბჭოთა არჩევნებისათვის

— თბილისის მაზრაში საბჭოე'ის არჩევნების ჩასატარებლად თბილისის აღმასკომმა გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სუხიშვილი (თავმჯდომარე), სვანიძე, მესხი, კორძახია, ბურჯანაძე (გარე კახეთიდან, უპარტიო გლეხი), ალავიე (ყარაიაზი) და მთე ბაიაშვილი (ერწოს თემიდან, უპარტიო გლეხი).

თბილისის აღმასკომში

— სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა. აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე საადგილ-მამულო განყოფილებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენაზე 50,000 მან. სესხად მიცემის შესახებ.

— აღმასკომის საკურორტო ქვეგანყოფილება შეერთებული იქნა კომეფსალურ განყოფილებასთან.

სოციალურ დაზღვევის საქართველოში

— სოციალურ დაზღვევის კამპანიების ჩასატარებლად სამმართველომ გაიღო 6000 მან.

ზანგრეთელოგების კოშეარიატში

— ბრძოლა ციებ-ცხელებასთან. 1925 საანგარიშო წლის განმავლობაში ჯანმახსოვნის დაწესებულებებმა საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 81,626 ციებ-ცხელებიანს.

— საექიმო პუნქტები. ამ ჟამად მთელ საქართველოში ითვლება 218 საექიმო და 52 საფერშლო პუნქტი, საიდანაც მოსახლეობას უფასოდ ეძლევათ საექიმო დახმარება.

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატში

— სახოფლო-მეურნეობის საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებებზე გასულ საანგარიშო წელში მიწათმოქ. სახ. კომისარიატს დაუხარჯავს 112,218 მან.

— მინდვრის მავნეებთან სახბრძოლველათ საზღვარ-გარეთიდან მოლებულია ახალი ტიპის ინსტრუმენტები და წყლები.

სხვადასხვა

— დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილების გამგეთა სავაჭრო ყრილობა გაიმართება 16 ნოემბერს. საქართველოდან დელეგატად იგზავნება ექიმი შენგელია.

— განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 6 საათზე, პროფ. ალ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას საქართველოს გეოგრაფიის შესახებ.

ქრებები და მოხსენებები

— საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში შაბათს, გიორგობისთვის 14-ს, საღამოს 7 ს. საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე (საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში) მოხსენებას წაკითხავს ა. ამირანაშვილი: „ოლვიისა და პანტიკაპეის ვანათხართა ნიეარები“. შესვლა თავისუფალია.

— მუხიკალური ასოციაციის წევრთა კრება. პარასკევს, 13 ნოემბერს, დღის, 3 საათზე საქ. პროლეტკულტის შენობაში ბელინსკის ქუჩ. № 2 შესდგება საქ. პროლეტკულტის მუსიკალური ასოციაციის წევრების საერთო კრება.

— დამცველთა კოლეგიაში. ა | წ. 15 ნოემბერს, დილის 11 საათზე, დანიშნულია დამცველთა კოლეგიის წევრთა ზეექვსი საერთო კრება პროზიდიუმის მოხსენების შესახებ.

„ეკონომისტი“

— გამოვიდა უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანო „ეკონომისტი“ № 2 შემდეგი შინაარსით: კოოპერატიული განაორება, ფ. მახარაძე—სატყეო მეურნეობის შესახებ, ლ. ტროცკი—სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?, ა. ერემიაშვილი — სასოფლო - სამეურნეო კრედიტი, დ. თოფურიძე—მეღვინეობა საქართველოში, ს. დევდარიანი —უმუშევრობის საკითხი და სოფლის მ ეურნეობა, ი. ბუაჩიძე—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციული ზრდა, ა. ფულუკიძე—ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან, ფრ. ენგელსი—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკიდან. მიმოხილვები, ეკონომიური ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

—

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 10 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ ”ამხ. მიხ. ძამანაშვილის ბიოგრაფიაში შეპარულია შემდეგი შეცდომა: სწერია—„1902 წლიდან ხელობას სწავლობდა და მუშაობდა თბილისის კერძო ფირმების მექანიკურ სახელოსნოებში“, უნდა იყოს: „1904 წლიდან ხელობას სწავლობდა“ და სხ. სწერია: „1909 წ. დასაწყისში ჯულფაში ბატარეებენ“ უნდა იყოს: „თბილისის სადგურზე ბატარეებში ბატარეებენ“ და სხვ.

—

შემთხვევები

— ეტლის ქვეშ. 11 ნოემბ. ლენინის და ელბაქიძის ქუჩის კუთხესთან მიმავალმა ეტლმა, რომელსაც მიმართავდა მახალ ტეკოვი, დაეჯახა სონია ჩიტაშვილს, რომელსაც ხელში ეჭირა პატარა ბავშვი და დაიშავა.

— თავის მოწამვლა. 11 ნოემბერს ღამით რკინისგზის ლინდგიის გადაღმა თავი მოიწამლა უცნობმა მოქალაქემ.

— მკვლელობა. 10 ნოემბ. 12 არბის მახლობლად სოფ. ლუბარდის მცხოვ. კასიმ ალი ოღლიმ და ისა. მუსმად ოღლიმ მოკლეს ანბმელ ოღლი.

— ქურდობა. 11 ნოემბ. ღამით ანტონოვის ქ. № 66 გაქურდეს გეორგ ტერ-არაქელოვს ბინა.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 51 გრიგორ ქიაურის ბინიდან მოიპარეს 147 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ბადრინის ქ. გაქურდეს კარაფოვის ბინა.

— ავბედობა. 11 ნოემბ. შეიპარეს სერგად მურადოვი, რომელმაც ეკატერინე მახხურიას ჯიბიდან ამოიცალა საფულე.

ხელოვნება

პიანისტ ქალის, ვრონსკაიას კონცერტი

ახალგაზრდა პიანისტ ქალს ვრონსკაიას სახით უსათუოდ საკმე ვეაქვს დიდ მუსიკალურ ნიჭთან, მაგრამ ამ ნიჭს გაფფურჩქნა მომავლის საქმეა. დავიწყოთ იქიდან, რომ შესრულების ტეხნიკური მხარე ჯერ კიდევ ძალიან ბევრ ადგილ ადგილ სუსტია, როგორც ეს უნდა იყოს საესებით დამთავრებულ პიანისტისათვის. ახალგაზრდა პიანისტი ქალის ტეხნიკაში ჯერ კიდევ არის ნაკლი, რომელიც უსათუოდ გამოსწორებული იქნება მომავალში, რადგან მას ეგნენვა. საამისო ვირტუოზული და საესებრადო ნიჭი. პირველ კონცერტზე შესრულებულ ფორტეპიანოს ლიტერატურიდან, ყურადღებას იქცევს ბეთხოვენის სონატა, რომელიც წარმოადგენს ამ დიდი ხელოვანის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს. აქ საჭიროა არა თუ ტეხნიკური მხარე შესრულებისა, არამედ აგრეთვე სტილი და ემოციონალობა. კარგად შესრულა პიანისტმა ქალმა პირველი და მეორე ნაწილი, ხოლო მესამე ნაწილში მან აიღო ძალიან ჩქარი ტემპი, რაც ანუბეს მეფლდიური სურათის სისრულეს.

შუმანის ცნობილ ვარიაციებიდან (სიმფონიური ეტიუდები) ყველა ვარიაციები არ ყოფილა სათანადოდ შესრულებული. მეორე ვარიაციაში პიანისტი იღებს ძალიან ჩქარ ტემპს და ვერ ყოფს მკაფიოდ მთავარ თემებს და მუსიკალურ ფრაზებს. მეოთხე შესრულებული იყო მძიმედ, მეთერთმეტეში კი—საჭიროა უფრო მკაფიო მელოდია და უკეთესი ფრაზიროვკა. დანარჩენი ვარიაციები კარგად იყო შესრულებული. შოპენის ფანტაზიას პიანისტი ქალი ძალიან მუსიკალურად ასრულებს, მაგრამ ყოველგვან არ იცავს ნაწარმოების სტილს. პაროკურაზაში ოპერიდან „რიგოლეტო“ არ არის საჭირო ტემპების ასეთი კონტრასტები და უფრო დაცული უნდა იქნეს კვარტეტის ხასიათი და ტემპები, როგორც ეს არის ოპერაში. საუბუოვად იყო შესრულებული სკრიაბინის ეტიუდი (პრელუდია), მაგრამ მეორე ეტიუდი შესრულებული იყო არა საკმაო განცდით და ეკსპრესიით. კარგად ეხერხება პიანისტს პროკოფიევის ნაწარმოები. პანაჩიტმა კარგი ბეთ-ბეჭდილება დატოვა და აუდიტორიამაც დაჯილდოვა ხანგრძლივი ტაშით.

ბ. ბ.

თურქული დრამა

თურქული დრამის სეზონი გაიხსნება დღეს, 13 ნოემბერს, გუსეინ ჯავადის პიესით „შეიბი სან-ანგ“.

დასში მიმდინარე წელს მოწვეული არიან, მ. ა. ბაბასოფი, ი. ალიევი, ი. ალეკპეროვი, ა. ანატოლელი, გიულ-ბაბარ-ხან

უმათა ცხოვრება

...ქულს, ზოგს კი ...ენატრება

...ბის შენიშვნა

...მიდის თუთუნის ქარხნის ... და ერთი მეორეს ეკით...

...როგორია საქმე, ა...ხანაგო, ეხ... ...ყოფილი ხართ?

...ვისი, რით?

...ქვენი დირექციით.

... და მკითხავთ?

— ...ისე, საერთოდ, თქვენი მდგომ...ეობა გაუმჯობესდა თუ არა ქარ...ანაში?

— ...გაუმჯობესებას რას უძახ...? ...ბაგალითად, ჯამაგირებს გაძ... თუ არა თავის დროზე ან გა...ბაში ფულით ხელს გიმართა... თუ არა?

— ...ჯამაგირებს ყოველ თვე—18-... და 3-ში ვიღებთ. რაც შეეხება ...ბაგირის ანგარიშში ავანსით დახ...ეას; ამას დიდი ხანია არ გვაძ...ენენ.

— რა არის ამის მიზეზი? ...ხლა ...ტრესტს კარგი მოგება აქვს და ...ხდება ეგრე?

— მოგება კარგი აქვს, მაგრამ ... არა აქვს.

... სად მიდის ტრესტის მოგება?

— ...ფული მიდის იმათ ...ჯიბეში, ...ელნიც მეტიხის ციხის „დასასვ...ელ კამერებში“ ბრძანდებიან.

— ვინ არიან ესენი?

— ვინ იცის,—ზოგი გამგეა, ზო...ეც მოლარე.

— რაღა ხომ გაძლევენ?

— გვაძლევენ, მაგრამ ისიც შე...გძულდა.

— თქვენ შეგძულდათ? სხვები...

— სხვებს კი ენატრებათ.

— თუ შეგძულდათ, რ... ...ოთ ღებულ...ლებთ?

— აბა, როგორა ვქნათ, თუ სხვა რამეს სამაგიეროდ არ გვაძლევენ!

— სხვა რა გინდათ, რომ მოგ...ცენ?

— სამი დღე რომ რაღა გვაძლე...ენ, შეიძლება, მეორე სამი დღე ...ელი ან კარაქი მოგვცენ, იმოდენა ...ერებულების, რაც რაღა ...ღერებულ...ლებას შეადგენს. მე მგონია, რომ ...ამით არც ტრესტი დაჭარგავს რას...მეს და ჩვენც მადლობელი ვიქნე...ბით.

მუშკორი—ამბალი.

„კომუნისტი“-ს მუშკორებ...ში

11 ნოემბერს ჩვენი რედაქციის ბი...ნაზე შესდგა „კომუნისტი“-ს მუშკორ...თა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა მუშკორთა ბიუროს მოხსენება მისი მუშაობის შესახებ და ბიუროს გადარჩენა.

როგორც გამოირკვა, ბიუროს 3 | მგ. ...ზდივნის ამბ. ნიკოლაიშვილის მოხსე...ნებიდან, ბიუროო, საანგარიშო წლის განმავლობაში, გაზეთის „მუშათა ცხოვრების“ განყოფილების გამგეს...თან ერთად, ეწოდა მუშკორთა ...ასის საერთო იდეურ ხელმძღვანელო...ბას, რაც გამოიხატა ყოველკვირეულ კრების და ექსკურსიების მოწყობაში. კრებებზე სწარმოებდა მუშკორთა წერილების კრიტიკული განხილვა და ლექცია—საუბრები მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

ბიუროს გამგებლობაში მყოფ მუშკორთა ურთიერთ დამხმარე სალაროდან გაცემულა დახმარება, რის შემდეგ ა | წ. 1 ოქტომბრისთვის იქ დარჩენილა ნაშთი 31 მანეთი.

მოხსენების შესახებ კრება ადგნენ ...ილებულ იქნას ცნობათ ბიუროს მოხ...სენება, დაეკალოს ბიუროს დადგენილ...ბა 5 პროც. ინარიცხების უფრო სისტე...ტიურად აღება სალაროს გასაძლე...ერებლად ამხ. მალაშხიას საშუალე...ბით.

ბიუროო აგრეთვე იღებს თავის თავ...ზე გაზეთში მოთავსებულ და მოსა...თავსებელ მასალის განხილვას და ხელ...ს უწყობს მათ გამოქვეყნებას; უხელ...ძღვანელებს ყოველკვირეულ კრებებს, ...წყობს ექსკურსიებს და უწევს მუშ...კორთ იდეურ და მატერიალურ დახ...მარებას.

დასასრულ მოხდა ბიუროს გადარ...ევა. ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ნ...ოკოლაიშვილი, ხებრიელაშვილი, ბა...ჯიაშვილი, ნავთლუღელი, ჯაში ას...ამბაზიშვილი, სალუქაძე, შინატ...ელი და ხიდისთაველი.

მუშკორი ა. ნ.

მოუარეთ უპატრონო სახლს

სულეიენის ქუჩაზე სახლი № 4 დას...ტოვა მისმა პატრონმა. იგი სცხოვ...რობს „ვოროვოვკაში“, სახლი შეი...ცავ 7 ოთახს, სადაც სცხოვრობენ ...რკინის გზის მუშები. სახლს აქვს წყა...ლი, კანალიზაცია, განათება და სხვა. სახლი საჭიროებს დიდ შეკეთებას ...ადგმურები წესიერად იხდიან ბინის ...ქირას, მეეზოეესაც ისინი აძლევენ ხელფას. სახლის შემოსავალი გასა...ვალს ვერ ფარავს და სახლი ინგრევა, ...ამიტომ მუშები მოითხოვენ მიეცეს წინადადება სახლის პატრონს, რათა ის დაეპატრონოს სახლს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აუცილებლად უნდა ...ციოს ადმასკომის კომუნალურმა ...ანყოფილებამ და გაუწიოს მას პატ...რონობა.

შვიდი მუშის მონდობილობით

მუშა—დანტკურელი

ზოგისთვის ბამბა ჩხრიალ...ებს, ზოგისთვის კაკალიც არაო

(მუშგლეხინის და ფოსტა-ტელეგ...რაფის კავშირის საყურადღებოთ)

თბილისის მთავარი ფოსტა არის ერთი დიდი დაწესებულებათაგანი, სადაც მუშაობს 200-მდე მუშა-მოსამსახურე. ასეთ დიდ დაწესებულებაში არ შეიძლება რომ არ ხდებოდეს ზოგგან ზედმეტი მუშაობები, და ეს ხდება კიდეც განსაკუთრებით დაბალ მოსამსახურეთა შორის. მაგალითისათვის ავიღოთ ფოსტალიონების მდგომარეობა, რომელნიც ყოველთვის მუშაობენ ზედმეტს, სხვადასხვა დღეებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ყოველ კვირა-უქმე დღის წინა დღეთ, შრომის კანონთა თანახმად, მათ უნდა იმუშაონ 6 საათი ნამდვილად კი ისინი 8 საათს მუშაობენ.

როდესაც ეს საკითხი ისმევა მუშათა ფრაქციის მიერ ადგილობრივ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ეთანხმება და ხშირად ასეც მიმართავს ხოლმე მუშათა წარმომადგენლებს: თუ მათ (ფოსტალიონებს) ზედმეტი სამუშაო ჯილდო აძლიეთ, აბაჩენეთ სახელმწიფოსო“!

ეს ადმინისტრაცია კი მუშების სარჯზე დიდის სიფაქიზით და ყურადღებით ეპყრობა ბუხპალტერს და ცდილობს მიეცეს მას სპეციგანაკვეთის ზეითი ერთდროული დახმარებაც სიზუქრით ძველი საბიუჯეტო წლის დარჩომილ თანხიდან.

შუამდგომლობა დაკმაყოფილებული. ბუხპალტერს მიეცა საჩუქრად 125 მანეთი (იხილეთ ორდერი № 1889 29 | 10-დან. ამავე დროს კი ფოსტელოქ. მოწერილობით 28 | 10 და № 11 | 46919 ამავე ბუხპალტერს ეძლევა 200 მანეთი საჩუქრათ პოემიის სახით, ამას გარდა ზაფხულში მას მიეცა კიდევ კომისარიატის მიერ 250 მანეთი. ამრიგად სპეც „ბუხპალტერს“ მიეცა სულ ამ ცოტა ხნის განმავლობაში 600 მანეთამდე საჩუქარი. იმ დაბალ მუშაკთ კი, რომელთაც ეძლევათ 29—30 მანეთი თვეში და ნამდვილათ ეკუთვნით და მხოლოდ უნდა მიეცემოდა სრულიად უმნიშვნელო თანხა, უარით ისტუმრებს, ადმინისტრაცია. იყო ხოლმე შემთხვევა, რომელსაც დაადასტურებენ შ.ს.კ. ოქმები, რომ კვირა-უქმე დღეებში ნამუშევარს არ აძლევდნენ დაბალ მუშაკთ და ადგილობრივ მუშკომს უხდებოდა საკითხვების საკონფლიქტოდ გადატანა, რის შემდეგაც დიდი ვაი-ვაგლახით ისიც აუცილებლივ მოთხოვნილ თანხის დაკლებით უნდა მოეცათ მიტომ, რომ „სახელმწიფოს დიდი ზარალი აქვს“.

რაშია საქმე? რატომ ხდება ასე.

ადგილობრივ კანტორაში ორი სპეცის ყოლა 150 მანეთიან ჯამაგირებით და ოთხი უმაღლეს კატეგორიის ადმინისტრატორები, რომელთა ჯამაგირები თითქმის დანარჩენ 200 კაცის ხელფასს უდრის, ჩვენი აზრით, ზედმეტი ხარჯია უწყებისათვის.

მივიქცევ რა ამ გარემოებას ყურადღებას მ. გ. ინსპექციისას და საქართველოს ფოსტა-ტელეგ. კავშირისას მოვითხოვდი, რათა გამორკვეულ იქნეს ეს მდგომარეობა და დღის სინათლეზე გამოიტანონ სიმართლე და სიმტყუნე.

მუშკორი.

კავშირის წევრ მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ

ა. წ. 1 ნოემბრიდან საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს იურიდიული ბიურო (მუშათა სასახლე, მეორე სართული ოთახი № 26) ყოველ-დღე საღამოობითაც 7-დან 9-საათამდე, მიიღებს კავშირის წევრს მუშა-მოსამსახურეებს რჩევა დარიგების მისაცემად.

ს. პ. კ. ხ. იურიდიული ბიურო.

პასუხად „თანამშრომელს“

(იხ. „კომრნისტი“ № 254)

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 254-ში მოთავსებული იყო „თანამშრომელ“-ს მიერ ხელმოწერილი ცნობა, რომ ა | კ. ფინასსაკომის რწმუნებულის სამმართველოს იურისკონსულტი ივანე გობეჩია აწარმოებდა უზენაეს სასამართლოში ერთ საქმეს სააქციზო სამმართველოს მხრივ საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკის წინააღმდეგ და რომ იმავე საქმის წარმოება მინდობილი ჰქონდა ივანე გობეჩიას აგრეთვე სას.-სამ. ბანკისაგანაც და რომ აღნიშნულ საქმის წარმოებისათვის ივანე გობეჩიამ ჯილდოდ მიიღო ბანკიდან.

ზემო მოყვანილი ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან ივანე გობეჩიას არ ჰქონია სას.-სამ. ბანკისაგან მინდობილი „კომუნისტი“-ს 254 №-ში დასახელებულ საქმის წარმოება კოოპ. „საერო“-ს წინააღმდეგ და არც მიუღია მას, გობეჩიას, ბანკიდან რაიმე ჯილდო აღნიშნულ საქმის წარმოებისათვის. ყოველივე ეს გამოირკვა ცენტრალური პროკურატურის მიერ ითხოვნილი გამოკვლევით ს. ს. ს. რსპ. იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე: კ. ოკუჯავა

გამოვზავნილ წერილებიდან

— **უნდა აიღებდეს თავგასული მოხელე.** რკინისგზის სამმართველოს ელექტრო-საგზაურში სუსტი დენების გამგის თანამდებობაზე მუშაობს ვინმე სობოლევსკი. ეს გათავხედებული ბიუროკრატი გაეროვნების საქმეს მტრულად უყურებს; სძულს ქართველი მუშა-მოსამსახურენი და ცდილობს ყოველგვარი ხრიკებით მოიცილოს ისინი. მისი არაქართველი თანამშრომელები აწარმოებენ მიწერ-მოწერას დამახინჯებული **და გაუგებარი „ქართული ენით“**—ქართული პრესტიჟის დაცემის მიზნით.

ეს შავბნელი ვინმე აუცილებლად უნდა აილებოს.

მუშკორი **ელპერწკი.**

—

— **ამათი მდგომარეობა დამაფიქრებელია.** ქართველ მუშათა ფაკულტეტების მსმენელებში არიან როგორც სტიპენდიანტ-მუშფაკელები, ისე უსტიპენდიონიც და, თუ პირველების ეკონომიური მდგომარეობა მაინცადამაინც **არ არის სახარბიელო,** ამ უკანასკნელების ეკონომიური მდგომარეობა კი პირდაპირ დამაფიქრებელია და აუტანელიც. მათ ხშირად დღიურ ლუკმის ფულიც არ გააჩნიათ **და იძულებული ხდებიან** სწავლას თავი დაანებონ.

დაეხმარეთ ამ ღარიბ მოწაფეებ!

მუშფაკელი.

—

— **დაამტკიცეთ მკბენარა ძალლები.** სასამართლოს ქ. სახლი № 52-ში ცხოვრობს მოქ. დარახველიძე, რომელსაც **მოშენებული** ჰყავს ძალლების **„ჯოგი“.** ძალლები **თავისუფლად** დასეირნობენ ეზოსა და ჰკბენენ გამვლელ-გამოვლელ ხალხს.

მოლიციავ, შენ **უნდა აგვაშორო** მოსალოდნელი **უბედურება!**

მუშკორი **მათხოჯელი.**

—

— **ვაჭარი ტყავს გვაძრობს** და **აფერისტობს.** ანტონოვის ქუჩაზე ვაჭრობს ვინმე ვირნახოვი, **რომელიც** ყველა-აფერს ჰყიდის **გასამკეცებულ** ფასებში. ეს ვაჭარტონი ჩუმად, ნებადაურთვველად ჰყიდის მაგარ სასმელებსაც და აწერდის აქ მცხოვრებ მუშებს. აქაური მოსახლეობის 90 პროც. მუშებისგან შესდგება.

საჭიროა, ეს მუშები დაიცვათ ამ აფერისტ და შეუბრალებელი ვაჭრისგან—ადგილობრივ მუშკოოპის დუქნის გახსნით.

მუშკორი **ბაგნოფელი.**

—

— **დახმარების მაგივრად** მუშას **აგინა და შეურაცხყოფა** მიაყენა. რკინისგზის სტამბის მუშას ამხ. აფირდონიძეს ცოლი სიშინლად ავად გაუხდა და მან სასწრაფო დახმარებისათვის ექიმ ნაზარიანცს (ცხოვრობს ტატიანის ქ. სახ. № 8-ში) მიმართა დილით 9 საათზე. ექიმი, გაბრაზებული მიუვარდა ამხ. აფირდონიძეს, დაუწყო ყვირილი და გინება, თუ როგორ გაბედა მან ავრე ადრე მიმართვა და ძილის დაფრთხობა, მუშა ბინიდან გააქცევა ლანძღვა გინებით.

ასეთი „ექიმი“ **უნდა** მოიყვანოთ **ტკუზე.**

მუშა **კარგი.**

მუშათა ქრონიკა

თამბაქოს ტრესტში

— **აქაც ხელფასი გაადიდეს.** თამბაქოს ტრესტის მუშა-მოსამსახურეებს ახალი ტარიფით მოემატებათ ჯამაგირი პირველ ოქტომბრიდან 15 პროცენტით.

— **მუშებს შეშა დაურიგდებათ.** თამბაქოს ტრესტის ადგილკომის მდივანმა ამხ. ოვანოვმა თავის ინიციატორობით **დასდო** ხელშეკრულება ყანდაურის ტყეტკომთან, რათა მან დაამზადოს თამბაქოს **ტრესტის** მუშა-მოსამსახურეებისათვის შეშა საკენი 50 მანეთიდან, ნისიათ სამი თვით.

— **სურხათი მიეცემათ ნახიად.** თამბაქოს **ტრესტის** ადგილკომმა დაადგინა მიეცეს **მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირის** მიხედვით სესხი 25 პროც. რაოდენობით სურათის ნისიად მისაღებად.

რკინის გზის საავადმყოფოში.

— **სპეციალისტების შეძენა.** ადგილკომმა სესხად აიღო ჯანმრთელობის განყოფილებისაგან 5,000 მანეთი, რომლითაც შეისყიდა მუშა-მოსამსახურეებისათვის **სპეციალისტ**ამოსი.

— **ხელფასის გადიდება.** რკინის გზის საავადყოფოს **მუშა-მოსამსახურეებს** ახალი ტარიფით მოემატათ ხელფასი 15 პროცენტამდე.

— **მიიღებენ სურსათს ნისიად.** რკ. გზის საავადმყოფოს ადგილკომმა **მუშა-მოსამსახურეებს** დაურიგა **წიგნაკები,** რომლითაც **შეუძლიანთ** მთ. **კოოპერატივიდან** ნისიად **ხარჯონ** სურსათი ერთი თვის ვადით.

— **ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.** რკ. გზის საავადყოფოს ადგილკომს გაუკეთდა **რევიზია.** ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

— **სალარო მუშებს ეხმარება.** რკ. გზის საავადყოფოს ურთიერთ დამხმარე **კასაში** ყოველთვიურად შემოდის 1200 მანეთი, რომელიც აკმაყოფილებს მუშამოსამსახურეების 70 პროცენტი.

ფერილები სოფლიდან

ზენიშვნები მიწათმოწყობაზე*)

ახალქალაქის მაზრაში ოთხი წელია მიწათმოწყობის მუშაობა სწარმოებს. ამ ხნის განმავლობაში იქ იგზავნებოდა საუკეთესო მიწისმზომელები. ერთი წყობა მუშაობისა, ეგრეთწოდებული, სოფლთა შორის მიწისმოწყობა (**межуселенное землеустройство**) დამთავრებული იყო კიდეც. თითეულ სოფელს მიეზომა ნეიდრი ადგილები და ზეშეტები დაარიცხა სახელმწიფო ფონდში. ამ გარემოებამ გაუგებრობა და უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ მკვიდრთა შორის. ცენტრალურ მთავრობის კომისიამ უკმაყოფილება კანონიერად სცნო და მიიღო ზომები დაშვებულ გაუგებრობის გამოსასწორებლათ.

როგორ მოხდა, რომ მიწისმოწყობა ვაწარმოვეთ და ხალხი კმაყოფილი ვერ დარჩა?

შეიძლება აქ ბევრი სხვა მიზეზი იყოს, მაგრამ მთავარი მათ შორის ჩვენი აზრით ის მეთოდია, რომლითაც ახალქალაქის მაზრაში აწარმოებდენ მუშაობას.

მიწათმოწყობა შეიძლება ვაწარმოოთ ორი გზით: ერთი—კატეგორიების მიხედვით მიწებს ვანაწილებთ სოფლთა შორის და ზედმეტ მიწებს ვრიცხავთ სახელმწიფოს ფონდში (**поселенное землеустройство**) და შემდეგ სოფლის ამ ადგილებს ვანაწილებთ კერძო და იურიდიული პირებს შორის (**внутриселенное землеустройство**). მეორე მეთოდის თანახმაც—ჯერ ვაკმაყოფილებთ სოფლის ფარგლებში მოქ �ul თითეულ მეკომურს, თუ ერთეულს და ამის შემდეგ ზედმეტი ადგილები გადაგვაქვს სახელმწიფო ფონდში. ორივე ეს გზა მისაღებია.

მართალია პირველი გზით მუშაობის წარმოება აჩქარებს საფონდო მიწების აღმოჩენის და უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონენი დახმარების საქმეს, მაგრამ მეორე მხრივ, აქ ყოველთვის შესაძლებელია შეცდომების დაშვება ადგილების გახარისხების დროს. ძნელია აგრეთვე ზედმეტი მიწა ისე ჩამოვრა, რომ შიგ არ მოჰყვეს მცირე მიწის მქონენთა ნაკვეთები. ეს გარემოება ბუნებრივად იწვევს უკმაყოფილებას.

სულ სხვაა მეორე გზით მუშაობის წარმოება. აქ ჯერ ვაკმაყოფილებთ თითეული სოფლის მცხოვრებს: ზედმეტ მიწებს ვართმევთ, ვისაც ნაკლები აქვს ვაძლევთ კანონიერ ნორმამდე, რაც დარჩება ირიცხება სახელმწიფო ფონდში, ამასთანავე გახარისხებაც თავის-თავად დატალური ხდება.

მართალია, აქ მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ საბაგიეროთ ბეჯითად მიედევართ დასახულ მიზნისაკენ.

გარდა ამისა, როდესაც მუშაობა სწარმოებს მეორე გზით, თავიდანვე ხდება სოფლის გეგმაზე მოწყობა, ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლა, სოფლის მიჯნების შესწორება, უხერხული გზების გაუქმება, არხების გაკვანა და სხვა. აქ სოფელი ნათლად ხედავს მუშაობის სარგებლობას და საჭიროებას.

ამნაირად, უფრო მისაღები ხდება მეორე გზით მუშაობის წარმოება, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში. პირველი გზით მუშაობის წარმოება თუ სადმე შესაძლებელი იყო—ეს იყო ახალქალაქის მაზრაში და თუ იქაც ეს წესი არ გამოდგა, ის ერთ-ხელ და სამუდამოდ უარ ყოფილი უნდა იქნეს, რომ უბრალოდ არ ჩაი...

...ბ. ...ზერია.

სოფლის ქოს-სამკითხველოებში

(ბ ურ ი ა)

სოფლად კულტმუშაობის გაცხოველებისათვის ოზურგეთის პოლიტგანის გამგემ ჩამოიარა მაზრაში შემავალი ყველა თემები, მოიწვია თემში მყოფი კულტ-მომუშავენი, მოახდინა სამკითხველოს გამგეთა გადახალისება და შექმნა სამკითხველოს საბჭო. საბჭო დაიყო წრეებთო, როგორიცაა: აგრონომიული, ანტირელიგიური, ჰიგიენური, გაზეთის მკითხაესა და დრამატიული წრე. სამკითხველოსთან დაარსდა აგრეთვე ცნობის მაგიდა, რითაც საშუალება ეძლევა ყველა მოქალაქეს გაიგოს ყველა ის თანაგრობის კანონები, რაც ამათვის გაუგებარია.

უეჭველია, ასეთი საქმის მოწყობა დიდი მიღწევაა კულტურულ მუშაობაში. თემში მთავრობის ხარჯზე თითო სამკითხველო დიდი დახმარებაა მთავრობის მხრივ. არც ნიკოლოზის და არც მენშევიკების დროს არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ სამკითხველო სახელმწიფო ბიუჯეტში შეეტანათ. ჩვენმა მთავრობამ ეს შესძლო. მაგრამ ჩვენ ამ იმედით მუშაობას ვერ შევაჩერებთ.

ჩვენს თემებში კიდევ არის ქოხ-სამკითხველოები, რომლებსაც უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, და თუ ნიკოლოზის დროში სამკითხ-ლოს დაარსება სახიფათო საქმე იყო და მაინც ვახერხებდით მის მოწყობას, ეხლა მით უფრო უნდა გავაორკეცოთ მუშაობა.

წინეთ სოფლიდან წასული ამხანაგები ხშირათ უგზავნიდენ სამკითხველოებს წიგნებს, მაგრამ ეხლა ასეთი საქმე თითქოს სირცხვილათ მიაჩნიათ. იშვიათი შემთხვევაა, რომ ქალაქში მცხოვრებ ამხანაგმა მოაწოდოს რაიმე წიგნი სოფლის სამკითხ-ველოს.

აპალონ იმნაიშვილი.

*) კამათის წესით.

...ბრძოლა საქონლის მავნებლობასთან

...ბლების მეურნეობაში ერთ თავ-სამტკივრე კითხვას წარმოადგენს ბაღ-ნათესებზე საქონლისაგან დაცვა. ხშირია შემთხვევა, როცა მეზობლის დაუდევრობით, ან აშკარა ბოროტი განზრახვით, გლეხს ვენახში ან ყანაში შეუღია საქონელი და დაუზოგავთ ინადგურებს შვილივით მოვლილ ნარგავ-ნათესებს. ამის გარშემო გლეხებს შორის დაუსრულებელი დავა და ჩხუბი სწარმოებს. ხშირათ მეზობლები სამკვდრო-სასიცოცხლოთ ემტერებიან ერთმანეთს.

წინათ, როგორც მახსოვს, ასეთი წესი იყო. საქონლისაგან დაზარალებული გლეხი ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელის თანდასწრებით გააფრთხილებდა საქონლის პატრონს, რომ მას მოეკლო საკუთარი პირუტყვისათვის. ამასთან ერთად საქონლის პატრონი ვალდებული იყო აენაზღაურებია ის დანაკლისი, რომელსაც მისი საქონელი მიაყენებდა მეზობელს. თუ ამის შემდეგ საქონელი ისევ შევიდოდა დაზარალებულის ბაღ-ნათესებში, უკანასკნელი ხშირათ კიდევაც ჰკლავდა მას.

ეს შეიძლება მეტის იტად სასტიკი ღონისძიება იყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქონლის პატრონი უფრო ფრთხილად იყო და თვალს ადევნებდა თავის პირუტყვს. დღეს ასეთი ბრძოლა საქონლის მავნებლობასთან უარყოფილია. დაზარალებულ გლეხს უფლება არა აქვს რაიმე გადაახდევინოს საქონლის პატრონს სასაზარალოს გარეშე, მოკვლაზე და სხვა ასეთ ზომებზე, ხელ-�პარაკ ზიდმეტია.

...ბის ...ბ...ბ...ბ

(საუბარი საქართველოს სამმგრიდან გაზ. „ს პ ა რ ტ ა კ ი ს“ ნაცვლად იწყებს გამოსვლას
მარის მოადგილე ა.ლ.კ.კ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის

ყოველდღიური გაზეთი

„ბაზრდა კომუნისტი“

(გადიდებული ფორმატით)

...ნება შემდეგი მუდმივი განყოფილებები:

1. ...ხასიათის წერილები კომკავშირის
2. ...ერილები დარგიდან;
3. ...თა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშო-
...ებაზე, მუშათა საერთაშორისო მო-
...საერთაშორისო მოძრაობა (კომუნის-
...ბის მოძრაობა და ჩვენი მტრები
4. ჩვენი კავშირის ცხოვრება;
5. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება;
6. პიონერთა შორის;
7. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა;
8. მეცნიერება და ტექნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ხელოვნება, და სხვ.

...ბირელი, ყოველი ახალგაზ. მუშა. და გლეხი, მოსწავლე, ახალგაზ. წითელ-არმიელი

უნდა იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთს

„ახალგაზრდა კომუნისტ“-ს

...ბითულმა ადგილკომმა, კლუბმა, ...ბ-სამკითხველომ და სკოლამ უნდა გამოიწერონ

„ახალგაზრდა კომუნისტი“

1 თვით	— 70 კ.	1 თვით	— 75 კაპ.
3 „	2 მან. „ „	3 „	2 მან. 10 „
6 „	4 „ „ „	6 „	4 „ 20 „
1 წლით	8 „ „ „	1 წლით	8 „ 40 „

ფასი:

გაზ. ღირს ქალაქ-გარეთ:

...ის მისამართი: რუსთ. პრ., № 20, სან. ახალგ. ლენინელთა კომკავშირის ცეკა—„ახალგაზრდა კომუნისტისათვის“.

...ელის მოწერა დაიწყება 10 ნოემბრიდან

პასუხისმგებელი რედაქტორი ვალ. ბახტაძე

ნ. № 202—4—3

XXV რუსთაველის თეატრი XXV

შაბათს 14 ნოემბერს, გაიმართება დამსახურებულ მწერალ-დრამატურგ

პოლიო ირეთელის
„იუბილე“

1 განყოფ.

მოგონებანი,

ს. დევდარიანის: ქართველი ინტელიგენცია და ქართული მწერლობა.

იმღერებენ: საოპერო თეატრის მსახიობნი: ქუმსიაშვილი და ვენაძე.

2.

წარმოდგენილ იქნება: „დამარცხებულნი“

მეორე მოქმედება—დრამა ირეთელისა.

3.

„ქრისტინე“

მეოთხე მოქმედება—დრამა მისივე.

მონაწილეობენ: ქ-ნი ანკარა, ვ. გუნია, რისპ. სახალხო არტ. ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, ვ. მინდიაშვილი, მარკოზოვი, ბ. ანაშვილი და სხვანი.

4.

საზეიმო სხდომა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.
საიუბილეო კომიტეტი.

ნ. 216. 3—2.

ხელის მოსაწერლებმა ყველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

პირველ სახელმწიფო საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ ინსტიტუტი

ახალი ...გუფის მეცადინეობა დაიწყება 23 ნოემბერს, საღამ... საათზე. ვინც კანდიდატათ არის ჩაწერილი, ეხლავე უნ... და წარმოადგინოს: 1) განათლების ცენზის საბუთი, 2) სწავლის ხვედრი გადა... ახალი ფული. საბოლოოდ ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება

...ის რაციბიურო
...ნის რკ. გზის
...ს, რომელშაც
(სამსი ...)
...ალიერებ...
...ბ ...ოციაციის
..., 13 ნოემ...
...ბროლეტ...
...ის ...ეტკულ...
...ის წევ...

...ოფ. ლორის-მელიქოვის № 12) საღამოს 7—8 საათ.

—:—

კურსების გამგე
ბ. თაქთაქიშვილი

447 3—3

გათოვის ნავთსადგურის

სამმართველო ამით აცხადებს, რომ იცემა იჯარით გემი

„გ ე რ ო ი“

რომელსაც ხეირდება შეკეთება კაპიტალურად.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ სამმართველოს კანცელარიაში ყოველ დღე 9—12 საათამდე.

ნავთსადგურის სამმართველოს უფროსი ხბრინკველი.

ნ. 219 2—2.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელოვნების

ნერვიულ დაავრეთვე ინვალიდმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოლოანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ქირურგ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ **ნ. პ. ფალიაშვილის**

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქციი (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ქალქეზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მოელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

გენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. ...ილი 9—12 საათ. ...ამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მისაღების შესახვევი №8.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმ **ბ. ...ოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.
სპპორიის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმ **ი. დ. თოფურიძე**

...ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

ი...ბს ავადმყოფებს

...ბის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სხვა ...ესი ორგანოს ყველა გართულებანი) დილ...ის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსა

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.** მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ხემა სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ეორონეცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ...ელი საბჭოს ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის),

---

ექიმი **ბ. ნ. მაგაპიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

...ეკუმის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ № 38.

დაბრუნდა

ექიმი **ზანდ უპელი**

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ...ენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

დოქტორი **ბ. მეგრაგინანი**

ფილტვების, გულის და ციების წამოლობა **ხელოვნური მთის მზით,** სინეიმოტორაკსით და ტუბერკულინით, **რენტგენის,** და სინათლის, ელექტრონის საკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

დავკარგე ...ოძის სახელობის **კლუბის** ბილეთები ათ-ათ შაურიანი 50 მანეთის, (წარმოდგენა უნდა გამართულიყო) 25 ოქტომბერს, მაგრამ გადადებული იქნა 13 ნოემბრისათვის) და საბჭოთა სავაკრო მუშათა კლუბის საწევრო წიგნაკი სილიბისტრო ლომაის სახელზე. ჩ. ბ. 475 1—1

დავკარგე პარტიის საკანდიდატო ბილეთი № 5991. ლუიზა სტეფანეს ასული ...ერელიძის სახელზე. ჩ. ბ. 471 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ხაიმ მოშეს ძე კიკოზაშვილის სახელზე. ჩ. ბ. 472 1—1

დავკარგე ს. ბ. უ. ს. მთავარი მეტრიკომის ქვითარი № 1738 მეტრიული ...ა წონისაზომებისათვის ათი მან, ღირებულების, ავანსის მიღების შესახებ ...ენინისა და ...ანიანისაგან. ჩ. ბ. 473 1—1

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2553 მიხეილ სპირიდონის ძე ივანეშვილის სახელზე. ჩ. ბ. 478 1—1

დავკარგე დროებითი მოწმობა, მოცემული ...ოთეოს კომკავშირისაგან № 1645 კოწია კაპანაძის სახელზე. ჩ. ბ. ნ. 226 1—1

დავკარგე საღრიცხვო ბარათი, ერევნ... გრიგორინის სახელზე. ჩ.ითვ. გაუქ. 479 1—1

...ბ ...ბ ...ბ

...ბ ...ბ ...ბ

...ბ ...ბ ...ბ